# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 16 ნოემბერი 1993 № 24 (71) | ფასი 750 კუპონი

2 დასავლეთში ჩემპიონატი განახლდება ოღონდ უკორდალიძეოდ

3 ახრიძ ცვეიბა რუსეთის ნაკრებში

4 ყველა ჩემპიონი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

პირველიდან ორმოცდამეოთხემდე

7 გვეყოლება თუ არა მსოფლიოს ჩემპიონი? კახიაშვილი, ავსტრალიას გაემგზავრა

8 ჩაროზი

ჩრდილოამერიკული პროფესიული ლიგები



# 10 000 გირვანქა

## თითოეულ პოლონელს ჰოლანდიელთა დამარცხებისთვის!

**ხვალ მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა ფინალისტი გვეცოდინება**

იხილეთ მესამე გვერდი





## კალათბურთის ჩემპიონატი

ნორმალურად რომ გაგრძელდეს, ერთ-ერთი უმთავრესი პირობა თამაშებზე უსაფრთხოების დაცვაა. სასურველია, თუ დარბაზში ასაფეთქებელი პაკეტი აღარ გასკდება ან მსაჯისა და მოთამაშის დავის დროს ტრიბუნებზე ატეხილ აყალმაყალს ვინმე დააწყნარებს და თანაც მატჩის ყველა მონაწილეს დაიცავს.

იხილეთ მე-7 გვერდი

## მონტე-კარლოდან ახალი არაფერია

მერვე პარტია
სე ცზიუნი — იოსელიანი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მ f3 d6 3. d4 cd 4. მ: d4 მ f6 5. მ c3 მ c6 6. კ e2 e5 7. მ f3 h6 8. 0-0 კ e7 9. ე e1 0-0 10. h3 კ e6 11. კ f1 ლ a5 12. კ d2 ლ d8 13. კ c1 ლ a5 14. კ d2 ლ d8 15. კ d2. ყაიმი

მეცხრე პარტია სე ცზიუნმა მოიგო, ანგარიში 7:2 გახადა და ჩემპიონობის შესანარჩუნებლად ერთი ქულაც ყოფნიდა.

სამწუხაროდ, ეს ჯერჯერობით. ბოლო ინფორმაცია გამოდგა: სამი დღე ამაოდ ვუკავშირდებოდით მონტე-კარლოს. ასე რომ, ახლა ჩინელი შეიძლება უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიც იყოს.

P.S. ბოლო წამს შევიტყვეთ, მეათე პარტია ყაიმით დამთავრებულა.

## ლატვია შეშინდა ჩვენები გამოდარებას ელიან

შაბათს ვაკეში საერთაშორისო რაგბი აღარ გაიმართება. ლატვიის რაგბის ფედერაციამ ჯერ კიდევ ზაფხულში მიმართა ჩვენს რაგბის კავშირს, თქვენს ქვეყანაში მიმდინარე ცნობილი მოვლენების გამო ფირა-ს პირველობის მატჩი იქნებ საგაისოდ, გაზაფხულისთვის გადაგვედოო. ჩვენებმა ლატვიას უარი შეუთვალეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ბალტიელებს ფირა-ს პარიზული ოფისისთვის უცნობებიათ, თამაშის გადადებას ქართველებიც ყაბულს არიან, ამიტომ ომითმოცულ კავკასიაში ახლა არ ჩავალთო.

ლატვიის მოლოდინში თბილისში გაწვიმდა, მერე კი ჩამოთოვა, რის გამოც ამერის პირველობაზე მორჩენილი შვიდი თამაშიდან ერთიც არ გამართულა. ერთიანად გაქარწყლდა წინა „სარბიელში" გამოქვეყნებული კალენდარიც. როგორც შევიტყვეთ, ამერელი მორაგბეები გამოდარებას უცდან. ასე რომ, თუ ღმერთის წყალობაც იქნა, გამოტოვებული თამაშების მორიგ განრიგს მალე შევიტყობთ.



# კორდალიძე «კაზინოში»



როგორც ვიუწყებოდით, ოთარ კორდალიძე ამას წინათ ავსტრიაში გაემგზავრა. ჩვენი ინფორმაციით, იგი ზალცბურგის „კაზინოში" ჩაირიცხა და ბოლო ტურის მატჩში უკვე ითამაშა კიდეც. შეგახსენებთ, რომ „კაზინო" უეფა-ს თასის მერვედფინალში ლისაბონის „სპორტინგს" ხვდება (ევროთასებზე გამოსვლის უფლება ოთარს ჯერ არა აქვს). ავსტრიის ჩემპიონატში კი მე-17 ტურის შემდეგ ზალცბურგელები 24 ქულით ვენის „აუსტრიასთან" ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

# პირველი ჯგუფის მაძიებლები

მეორე ჯგუფში პირველობისთვის ოთხი გუნდი იბრძვის — „ანცი", „თეთრი არწივი", „ნაფარეული" და „დურუჯი". გასულ ოთხშაბათს ავლაბრის სტადიონზე „ანცმა" „დურუჯს" უმასპინძლა. დატბორილ მინდორზე კომბინაციურ ფეხბურთზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, ამიტომ მეტოქეებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს — ბურთის წაქცევა საჯარიმოში, იქ კი დუმბაძეზე („ანცი") და გია ხუბეჯიშვილზე („დურუჯი") თამაში. მატჩის ლოგიკური შედეგი ნულოვანი ფრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამტრედიელ გარნოვსკის საფინალო სასტვენამდე (აღსანიშნავია მისი პრინციპული და ობიექტური მსაჯობა) ათი წამით ადრე ყვარლელი სეირან პოზოიანის კარისკენ დარტყმულ ბურთს გია ხუბეჯიშვილმა თავით შეუცვალა მიმართულება და „დურუჯმა" გამარჯვებულმა დასტოვა მინდორი მთავარი მწვრთნელის, ოთარ გაბელიას გასახარად. მაგრამ გაბელიაზე არანაკლებ გაუხარდათ მატჩზე დამსწრე „თეთრი არწივის" მოთამაშეებს და ხელმძღვანელებს, რომლებმაც ოცდაოთხი საათით ადრე იმავე სტადიონზე მეხუთე ადგილზე მყოფ ბოლნისის „სიონს" სძლიეს 3:1 და I ადგილზე გადაინაცვლეს. საუკეთესოდ ითამაშა ახლადგამომცხვარმა არმიელმა ლადო ჭოლოკავამ, რომლის უშუალო აქტიურობის შედეგად გაიტანა სამი გოლი მისმა თანაგუნდელმა შუბითიძემ. მეორე ტაიმში არმიელთა რიგებში ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი — გელა კეტაშვილი გამოჩნდა. ამჯერად გელა ნახევარდაცვაში თამაშობდა და ტრიბუნაზე გამოცდილი თვალიც კი ნათლად შეამჩნევდა, რომ ოცდაორ ფეხბურთელს შორის ახლადგამოსულ სუფთაფორმიანი არმიელი კლასით დანარჩენებზე აშკარად მაღლა იდგა. საბოლოოდ ბოლნისელმა მცველებმა ოლიმპიური ჩემპიონი ერთი-ორჯერ გააკოტრიალეს ატალახებულ მინდორზე და ისიც უმალ დაემსგავსა დანარჩენ ოცდაერთს, თუმცა ერთი-ორჯერ მაინც მოახერხა განავარდება.

თანდათან [illegible] აქტებს ზოოვეტინსტიტუტის „კრწანისყოფილი" „ერქვანი". როგორც ყოველთვის, სტუდენტთა მწვრთნელი ელგუჯა გუგუშვილი აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს. გუნდში ამინდს ქმნიან ყოფილი „უმაღლესლიგელები" — კახა ჭუმბურიძე და დათო კვ[illegible]შვილი (ორივენი 1969 წელს დაბადებულნი), აგრეთვე ახალგაზრდული ნაკრების[illegible] დათო ჭიჭივეიშვილი და ჯარიაული (ორივე 1975 წ.). ჭიჭივეიშვილმა სამი გოლი გაუტანა „არაგვს".

ძლიერად გამოდის „ჭაბუკიანიც". მას მეოთხე წელია ამავე გუნდის ყოფილი მოთამაშე როლანდ ბერუაშვილი წვრთნის. ამჟერად მისი საკბილო მცხეთის „არმაზი" გახდა — 7:0. ორი ბურთი გაფრინდაშვილმა გაიტანა, ერთი — ირაკლი გაბელაიამ. ეს დუეტი წამყვანი ძალაა გუნდში და აკი არც ამ თამაშში შეირცხვინეს თავი.

მამუკა კვანტალიანი

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ დასავლეთ საქართველოში არსებული შედარებითი სტაბილური მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩათვალა მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი და მეოთხე თასის გათამაშება დასავლეთის ზონის გუნდების მონაწილეობით გააგრძელოს 20 ნოემბრიდან პირველი ჯგუფის გუნდებისათვის და 18 ნოემბრიდან მეორე ჯგუფის გუნდებისათვის.

სფფ-ს გადაწყვეტილება განპირობებულია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. იმისათვის, რომ ჩვენი საკლუბო გუნდები 1994-95 წლების ევროპულ საკლუბო ტურნირებში დაუშვან, აუცილებელია გამოვლინდეს საქართველოს 1993-1994 წლების ჩემპიონი, მეორე პრიზიორი და თასის მფლობელი.

2. როგორც ცნობილია, 1994 წლის 22 იანვარს მოეწყობა ევროპის მომდევნო ჩემპიონატის კენჭისყრა ეროვნული ნაკრები გუნდებისა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის (1973 წლის 1 იანვარს შემდეგ დაბადებული ფეხბურთელები). როგორც ფეხბურთის მოყვარულთათვის არის ცნობილი, ახალგაზრდული ნაკრები გუნდი მექანიკურად მოხვდება იმ ჯგუფში და იასპარეზებს იმ ქვეყნის თანტოლებთან, რომელი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთანაც მოუწევს თამაში ჩვენს მთავარ გუნდს. ევროპის ჩემპიონატის დებულების შესაბამისად, ახალგაზრდული გუნდები მატჩებს გამართავენ ეროვნული ნაკრები გუნდების თამაშის წინა დღეს.

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალგაზრდული ნაკრები იგივე ოლიმპიური ნაკრებია და ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური თამაშები ჩაითვლება ოლიმპიური თამაშების პროგრამის წინასწარ (ჯგუფურ) ტურნირად. როგორ მოხდება ჯგუფური ტურნირიდან ოლიმპიადის ფინალური თამაშებისათვის გუნდების შერჩევა, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი ადგილი გამოეყოფა ევროპას აშშ-ის ოლიმპიური თამაშების ფინალური შეჯიბრებებისათვის.

3. გასათვალისწინებელია, რომ ფეხბურთელთა სპორტული ფორმის სრულყოფისათვის, განსაკუთრებით დღეს, აუცილებელია კალენდარულ თამაშებში მონაწილეობა, ვინაიდან გუნდების დიდ უმრავლესობას ყოველდღიური ნორმალური სავარჯიშო პროცესის, აღდგენითი ღონისძიებების ჩატარების და კვების ელემენტარული პირობებიც კი არ გააჩნიათ.

ისიც ანგარიშგასაწევია, რომ თამაშების ჩაუტარებლობის გამო ფეხბურთელებმა დაკარგეს ფულადი შემოსავლის ის წყარო, რომელიც მათ მოგებული ან ფრედ დამთავრებული მატჩებიდან ჰქონდათ.

თხოვნით მივმართავთ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ხელისუფალთ, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რომ ყველაფერი გააკეთონ სტადიონებზე [illegible] წესრიგის დასამყარებლად, [illegible] ფეხბურთელთა გუნდების, მსაჯების, ინსპექტორების უსაფრთხოების დასაცავად, როგორც უშუალოდ თამაშის დროს, ასევე ქალაქიდან ქალაქში მათი გადაადგილებისას, რათა ფეხბურთი კვლავ იქნას ქალაქებს შორის კეთილმეზობლობისა და მეგობრობის მასაზრდოებელი წყარო.

საქართველოს რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია

1993 წლის 9 ნოემბერი

## სტატისტიკა. XII, XV, XVII ტურები

| | აღმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 9 | — | 9 | 111 |
| გოლი | 33 | — | 33 | 401 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,67 | — | 3,67 | 3,61 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 19-7 | — | 19-7 | 224-89 |
| პროცენტულად | 73-27 | — | 73-27 | 72-28 |
| ბურთები | 20-13 | — | 20-13 | 259-142 |
| პროცენტულად | 61-39 | — | 61-39 | 65-35 |
| გაძევება | — | — | — | 2-7 |
| გაფრთხილება | 1-5 | — | 1-5 | 40-61 |
| პენალტი | 1-0 | — | 1-0 | 33-15 |
| გამოყენებულია | 1-0 | — | 1-0 | 30-11 |
| დიდი ანგარიში | 3 | — | 3 | 32 |
| „ჰეთ-თრიქი" | 1 | — | 1 | 8 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 134 | — | 134 | 377 |
| დებიუტანტები | — | — | — | 89 |

მეორე გაფრთხილება მიიღო ჩიხლაძემ („მარგვეთი").

ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| მერაბ მეგრელაძე | „მარგვეთი" | 16 |
| გიორგი ქინქლაძე | „დინამო" | 11 |
| გივი ქობელაშვილი | „ივერია" | 10 |
| კახა გოგოლაძე | „გურია" | 8 |
| შოთა არველაძე | „დინამო" | 8 |
| კარლო ჩინჩალაძე | „საპოვნელა" | 8 |
| მამუკა ხუნდაძე | „მარგვეთი" | 8 |
| ოთარ კორდალიძე | „გურია" | 7 |
| არჩილ არველაძე | „დინამო" | 7 |
| პაატა მაჭუტაძე | „ბათუმი" | 7 |
| რევაზ არველაძე | „დინამო" | 7 |
| როინ მარლიშვილი | „დილა" | 7 |

ერთ მატჩში 4 გოლი გაიტანა ზურაბ ხორგუაშვილმა („დილა"). 2-2 გოლი გაიტანეს: ქინქლაძემ („დინამო"), ხუნდაძემ („მარგვეთი") და გ. კილასონიამ („მეტალურგი").

რევაზ შენგელია

## პირველი ჯგუფი. XV ტური

**ერქვანი 2 — დინამო 1**

თბილისი. ეროვნული სტადიონი
5 ნოემბერი

ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, პაპიძე, ლაცაბიძე, დოლიძე, ინიაშვილი, თაბუკაშვილი (იაკობაშვილი, 55), ყიზილაშვილი (ყიფიანი, 70), კიკნაძე, მეტრეველი.
დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ანჩაბაძე, ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, რ.არველაძე, ქინქლაძე, რევიშვილი (იაშვილი, 46).

1:0 ყიზილაშვილი (42)
1:1 იაშვილი (60)
2:1 ყიფიანი (85)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

## XVII ტური

**ივერია 2 — მალაროელი 0**

ხაშური. ცენტრალური სტადიონი
8 ნოემბერი

ივერია: [illegible]აძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, ტყემალაძე, მაჭაცარია, [illegible]ბაქიძე, მარლიშვილი (ბაქურაძე, [illegible]), ქობელაშვილი, გ. ჩადუნელი.
მალაროელი: ხელაძე, იობაშვილი, სამხარაძე, [illegible], კიპაროიძე, აბრამიშვილი, ბრეგვაძე (შეყლაშვილი, 75), ხახიშვილი, [illegible]ლაძე, ნიკლაური, ბურძენაძე.

1:0 მარლიშვილი (16)
2:0 მაჭაცარია (58)

გაფრთხილება: კიპაროიძე
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**დილა 3 — საპოვნელა 2**

გორი. ცენტრალური სტადიონი
8 ნოემბერი

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი, ნკრიალაშვილი (მინდიაშვილი, 37).
საპოვნელა: თევზაძე, ბებიაშვილი (ჯულელი, 46), გენაძე, ჯ. ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე (ბუნტური, 46).

1:0 ხორგუაშვილი (11)
2:0 გაგნიძე (37 პ)
2:1 გენაძე (59)
3:1 ტაბატაძე (65)
3:2 გოდერძიშვილი (83)

გაფრთხილება: გოდერძიშვილი
მსაჯი: ტაბატაძე (თბილისი)

**კახეთი 0 — დინამო 5**

თელავი. გივი ჩოხელის სტადიონი
8 ნოემბერი

კახეთი: გრიშიკაშვილი, ჭაჭუა, ნაკუდაიძე, ბაბულაიძე, წიქარიშვილი, სეფაშვილი, ალავიძე (ლ. ხორხელი, 46), ა.ხორხელი, კალუა, კვარაცხელია, შონია.
დინამო: ზოიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ნემსაძე, ყაველაშვილი (იაშვილი, 52), ინალიშვილი, ჯამარაული (სოლოლაშვილი, 50), რევიშვილი, ქინქლაძე, ანჩაბაძე.

0:1 ქინქლაძე (15)
0:2 ყაველაშვილი (23)
0:3 იაშვილი (72)
0:4 რევიშვილი (83)
0:5 ქინქლაძე (83)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**მარგვეთი 2 — ერქვანი 1**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი
8 ნოემბერი

მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, ჩიხლაძე, გაბრიჭიძე (მინაშვილი, 85), ხუნდაძე, მეგრელაძე, ლანჩავა, შენგელია.
ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, პაპიძე, ლაცაბიძე, ფოფხაძე, ინიაშვილი (ყიფიანი, 80), დოლიძე, ყიზილაშვილი, კიკნაძე, მეტრეველი (თაბუკაშვილი, 80).

1:0 ხუნდაძე (2)
2:0 ხუნდაძე (80)
2:1 ლაცაბიძე (88)

გაფრთხილება: ინიაშვილი
მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

## XII ტური

**მეტალურგი 4 — საპოვნელა 1**

რუსთავი. ცენტრალური სტადიონი
12 ნოემბერი

მეტალურგი: ქორიძე, დიმიტრიშვილი, ბურნაძე, არჩვაძე, გაბელაია, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, კობიაშვილი, ლუდუშაური, ალადაშვილი (გახოკიძე, 75).
საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია, გენაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე (გურაბანიძე, 75).

1:0 გ. კილასონია (10)
2:0 ლუდუშაური (17)
3:0 გ. კილასონია (58)
3:1 უკლება (78)
4:1 ვ. კილასონია (87)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

**მარგვეთი 2 — დინამო 0**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი
12 ნოემბერი

მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, ჩიხლაძე, გაბრიჭიძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, ლანჩავა, შენგელია.
დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ქველაძე, ლობჟანიძე, ყაველაშვილი, ნემსაძე, სოლოლაშვილი (იაშვილი, 46), რევიშვილი, ქინქლაძე, ანჩაბაძე.

1:0 მეგრელაძე (9)
2:0 ხუნდაძე (60)

გაფრთხილება: ჩიხლაძე, ანჩაბაძე, ბერაძე.
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**კახეთი 1 — მალაროელი 1**

თელავი. გივი ჩოხელის სტადიონი
12 ნოემბერი

კახეთი: გრიშიკაშვილი, ჭაჭუა, ნაკუდაიძე, ბაბულაიძე, წიქარიშვილი, კალუა (შონია, 30), სეფაშვილი, ლ.ხორხელი, ალავიძე (ქერიტიძე, 46), კვარაცხელია, ა.ხორხელი.
მალაროელი: ხელაძე, იობაშვილი, სამხარაძე, რუხაძე, კიპაროიძე, შეყლაშვილი, ბრეგვაძე, ხახიშვილი (მწყერაშვილი, 75), კავთელაძე, ნიკლაური, ბურძენიძე.

1:0 კვარაცხელია (69)
1:1 ბრეგვაძე (70)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**დილა 5 — მრეტები 1**

გორი. ცენტრალური სტადიონი
12 ნოემბერი

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მარეხაშვილი, მიქელაძე (მეტრეველი, 58), ტაბატაძე (რევაზიშვილი, 75), ხორგუაშვილი, მინდიაშვილი.
მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, ძაბირაძე, მოსულიშვილი ქვარცხავა, ჯულელი, ირემაშვილი, ჩუხუა, ტყავაძე, ბურდული.

1:0 ხორგუაშვილი (19)
2:0 ხორგუაშვილი (28)
2:1 ჩუხუა (42)
3:1 მიქელაძე (45)
4:1 ხორგუაშვილი (70)
5:1 ხორგუაშვილი (77)

მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 12 | 0 | 2 | 56-16 | 36 |
| ივერია | 14 | 8 | 4 | 2 | 23-12 | 28 |
| მარგვეთი | 14 | 7 | 3 | 4 | 29-21 | 24 |
| მალაროელი | 15 | 6 | 4 | 5 | 23-23 | 22 |
| დილა | 14 | 6 | 2 | 6 | 20-21 | 20 |
| შევარდენი | 11 | 6 | 1 | 4 | 21-18 | 19 |
| საპოვნელა | 14 | 5 | 2 | 7 | 22-19 | 17 |
| ერქვანი | 12 | 4 | 4 | 4 | 19-22 | 16 |
| კახეთი | 14 | 4 | 3 | 7 | 22-33 | 15 |
| მეტალურგი | 14 | 3 | 0 | 11 | 19-39 | 9 |
| მრეტები | 14 | 2 | 1 | 11 | 12-42 | 7 |

## II ჯგუფი. XIII ტური. 9-10 ნოემბერი

ქართლი — რკონი 1:3
ანცი — დურუჯი 0:1
მერანი-91 — არმაზი-90 4:3
ერქვანი ზოოვეტი — არაგვი 6:3
ჭაბუკიანი — არმაზი 7:0
თეთრი არწივი — სიონი 3:1
შირაქი — მესხეთი 0:2

IX ტური. 13 ნოემბერი

დურუჯი — რკონი 3:0
ბახტრიონი — არმაზი-90 0:1
ქართლი — არაგვი 2:1
ანცი — სიონი 1:0
მერანი-91 — მესხეთი 2:1
ჭაბუკიანი — ნაფარეული 3:1
თეთრი არწივი — შირაქი 8:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თეთრი არწივი | 13 | 11 | 0 | 2 | 37-10 | 33 |
| დურუჯი | 13 | 10 | 1 | 2 | 31-13 | 31 |
| ანცი | 13 | 10 | 1 | 2 | 34-4 | 31 |
| ნაფარეული | 12 | 8 | 1 | 3 | 23-12 | 25 |
| ჭაბუკიანი | 13 | 7 | 2 | 4 | 29-12 | 23 |
| სიონი | 13 | 6 | 1 | 6 | 21-16 | 19 |
| მესხეთი | 13 | 5 | 2 | 6 | 14-19 | 17 |
| არაგვი | 13 | 5 | 1 | 7 | 16-25 | 16 |
| ბახტრიონი | 12 | 5 | 0 | 7 | 17-20 | 15 |
| თორი | 11 | 4 | 3 | 4 | 16-17 | 15 |
| ერქვანი-ზოოვ. | 12 | 4 | 3 | 5 | 19-22 | 15 |
| არმაზი-90 | 13 | 4 | 3 | 6 | 21-18 | 15 |
| მერანი-ბაჩო | 11 | 4 | 2 | 5 | 16-19 | 14 |
| რკონი | 13 | 4 | 1 | 8 | 16-29 | 13 |
| მერანი-91 | 13 | 3 | 2 | 8 | 11-30 | 11 |
| შირაქი | 13 | 3 | 2 | 8 | 6-35 | 11 |
| ქართლი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-27 | 8 |

## III ჯგუფი

I ქვეჯგუფი

28 ოქტომბერი
მერანი — ქიზიყი 2:0
ფხოვი — სამგორი 2:0

2 ნოემბერი
ქიზიყი — ფხოვი 3:0
სამგორი — იმედი 2:6

8 ნოემბერი
იმედი — ქიზიყი 2:2
მერანი — გარეჯი 1:3

12 ნოემბერი
გარეჯი — ფხოვი 2:0
ქიზიყი — სამგორი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 8 | 5 | 0 | 3 | 10-11 | 15 |
| ქიზიყი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-5 | 13 |
| იმედი | 7 | 4 | 1 | 2 | 21-8 | 13 |
| გარეჯი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-9 | 12 |
| ფხოვი | 7 | 2 | 0 | 5 | 8-16 | 6 |
| სამგორი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-19 | 3 |

ვარდისუბნის „შუამთა" გამოეთიშა გათამაშებას და მის მიერ ჩატარებული მატჩების შედეგები გაუქმდა.

II ქვეჯგუფი

28 ოქტომბერი
ტორპედო 2 — ვიქტორია 3:2
მუხნარი — იმედი 9:3
ჟინვალი — იბერია 0:5
ცხინვალი—ავაზა 0:3 (ნაგება მიესაჯა)

2 ნოემბერი
ვიქტორია — ჟინვალი 2:2
იბერია — მუხნარი 1:0
იმედი — ცხინვალი 1:5
ავაზა — ტორპედო 3:1

8 ნოემბერი
ავაზა — ვიქტორია 0:3
ტორპედო-2 — იმედი 3:0
ცხინვალი — იბერია 0:2
მუხნარი — ჟინვალი 6:3

12 ნოემბერი
ვიქტორია — მუხნარი 1:0
იბერია — ტორპედო-2 3:2
ჟინვალი — ცხინვალი 1:1
იმედი — ავაზა 1:6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 10 | 8 | 1 | 1 | 34-8 | 25 |
| ცხინვალი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-12 | 15 |
| ჟინვალი | 10 | 4 | 3 | 3 | 26-28 | 15 |
| ტორპედო-2 | 9 | 4 | 2 | 3 | 21-17 | 14 |
| ვიქტორია | 10 | 4 | 2 | 4 | 22-11 | 1[illegible] |
| ავაზა | 10 | 4 | 2 | 4 | 19-17 | 1[illegible] |
| მუხნარი | 9 | 4 | 1 | 4 | 27-16 | 13 |
| იმედი | 10 | 0 | 0 | 10 | 9-64 | 0 |

ხვალ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის პირველ ნაწილი ანუ შესარჩევი ციკლი ოფიციალურად დამთავრდება. გაირკვევა ფინალურ ეტაპზე გასული ყველა გუნდი. ჯერჯერობით კი ცნობილია 15 მათგანი, ცხრა ადგილი კი ხვალ გათამაშდება. ევროპის გუნდებთა გარდა გასარკვევია არგენტინასა და ავსტრალიას შორის გამარჯვებულიც. ფიფა-ს გადაწყვეტილებით, ევროპის ჯგუფებში ყველა მატჩი ერთ დროს დაიწყება.

# ევროპა

## I ჯგუფი

10 ნოემბერი.
პორტუგალია — ესტონეთი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 9 | 6 | 2 | 1 | 21-7 | 14 |
| პორტუგალია | 9 | 6 | 2 | 1 | 18-4 | 14 |
| შვეიცარია | 9 | 5 | 3 | 1 | 19-6 | 13 |
| შოტლანდია | 9 | 3 | 3 | 3 | 12-13 | 9 |
| მალტა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-21 | 3 |
| ესტონეთი | 9 | 0 | 1 | 8 | 1-23 | 1 |

ხვალ:
იტალია — პორტუგალია
შვეიცარია — ესტონეთი
მალტა — შოტლანდია

შვეიცარიამ ორი ბურთით უნდა მოუგოს ესტონეთს, რათა საერთოდ აღარ დაინტერესდეს იტალია — პორტუგალიის მატჩის შედეგით. თითქოს ადვილი ამოცანაა, მაგრამ, ჯერ ერთი შვეიცარიის ნაკრების თითქმის მთელი თავდასხმა ორი ყვითელი ბარათის გამო ვერ ითამაშებს, მეორეც — ესტონეთის ნაკრებმა ყველას დაანახა, რომ სასურველ შედეგს ნებით არავის მიართმევს. პორტუგალიამ თითქმის დაკარგა შანსი, როცა გასულ კვირას ოთხი ბურთით ვერ მოუგო ბალტიისპირელებს. იმ შემთხვევაში მათ ფრეც აწყობდათ იტალიაში, ახლა კი მოგება უნდათ, მაგრამ იტალია არ არის იმის ჩიტი, ვინმეს ამერიკის საგზური ჯიბეში ჩაუდოს. ისე კი, ბანალურია, მაგრამ ბურთი მრგვალია.

## II ჯგუფი

10 ნოემბერი.
თურქეთი — ნორვეგია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 10 | 7 | 2 | 1 | 25-5 | 16 |
| ჰოლანდია | 9 | 5 | 3 | 1 | 26-8 | 13 |
| ინგლისი | 9 | 4 | 3 | 2 | 19-8 | 11 |
| პოლონეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-12 | 8 |
| თურქეთი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-19 | 7 |
| სან მარინო | 9 | 0 | 1 | 8 | 1-39 | 1 |

ხვალ:
პოლონეთი — ჰოლანდია
სან-მარინო — ინგლისი

გრემ ტეილორიდან დაწყებული უბრალო გულშემატკივრით დამთავრებული ინგლისში არავინ ეჭვობს, რომ ნაკრები სან მარინოს იმდენს გაუტანს, რამდენიც საჭიროა. ეს შვიდი ბურთია, თუ, რასაკვირველია, ჰოლანდია პოლონეთთან 0:1 წააგებს. აი ქ კი, ინგლისელები თვლიან, რომ პოლონელებს დამატებითი სტიმული სჭირდებათ და... როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა დავით მჭედლიშვილმა გუშინ ლონდონიდან გვაცნობა, ორშაბათს „დეილი მირორში" შავით თეთრზე სწერია, რომ ჰოლანდიელებთან მოგების შემთხვევაში თითოეული პოლონელი ფეხბურთელი 10 ათას გირვანქას მიიღებს... ამ გაზეთის რედაქციისგან. ქრთამში დადანაშაულებას არც ნაკრების თავდამსხმელი იან რაიტი შეუშინებია და გაზეთ „სანის" საშუალებით პოლონელ ფეხბურთელებს, რომლებიც გოლს გაიტანენ, სამი დღით საკუთარ სახლში საკუთარი ხარჯებით სტუმრობა შესთავაზა, თან დააყოლა — ქალებიც რომ მთხოვონ, არც იმაზე დავიხევ უკანო. მოკლედ, პოლონელებს არც ისე არაფრისმომცემი მატჩი მოელით. თავად ინგლისის ნაკრებში კი კვლავ დანაკარგებია: ტრავმა აქვს ტრევორ სტივენს, ტონი ადამსს სურდო შეყრია. ასევე საეჭვოა შირერისა და პალისტერის თამაშიც.

## III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 11 | 7 | 4 | 0 | 15-1 | 18 |
| ესპანეთი | 11 | 7 | 3 | 1 | 26-4 | 17 |
| ირლანდია | 11 | 7 | 3 | 1 | 18-5 | 17 |
| ჩრდ. ირლანდია | 11 | 5 | 2 | 4 | 13-12 | 12 |
| ლიტვა | 12 | 2 | 3 | 7 | 8-21 | 7 |
| ლატვია | 12 | 0 | 5 | 7 | 4-21 | 5 |
| ალბანეთი | 12 | 1 | 2 | 9 | 6-26 | 4 |

ხვალ:
ჩრდ. ირლანდია — ირლანდია
დანია — ესპანეთი

„მისცემენ" ჩრდილოირლანდიელები ჩვეულებრივ ირლანდიელებს?

## IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 9 | 7 | 0 | 2 | 16-5 | 14 |
| რუმინეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 27-11 | 13 |
| ჩეხეთსლოვაკ. | 9 | 4 | 4 | 1 | 21-9 | 12 |
| უელსი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-10 | 12 |
| კვიპროსი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-18 | 5 |
| ფარერები | 10 | 0 | 0 | 10 | 1-38 | 0 |

ხვალ:
ბელგია — ჩეხეთი და სლოვაკეთი
უელსი — რუმინეთი

უელსს 1958 წლის შემდეგ პირველად გაუჩნდა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის შანსი. ამისთვის მან რუმინეთს აუცილებლად უნდა მოუგოს, მაგრამ გაუჭირდება ორყვითელბარათიანი ჰიუზის და აიზლვუდის გარეშე. ბელგია ცალი ფეხით ფინალშია. მეორის ჩასაყოფად კი ფრეც ჰყოფნის.

## V ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-3 | 12 |
| საბერძნეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 8-3 | 12 |
| ისლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 7-6 | 8 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-11 | 5 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 1 | 7 | 2-16 | 1 |

ხვალ:
საბერძნეთი — რუსეთი

## VI ჯგუფი

10 ნოემბერი.
ავსტრია — შვედეთი 1:1
0:1 მილდი (67), 1:1 პერცოგი (70)
ისრაელი — ფინეთი 1:3
0:1 პურულაინენი (53), 0:2 პაავოლა (72), 0:3 პიელმი (84), 1:3 ხარაზი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 19-8 | 15 |
| საფრანგეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 16-8 | 13 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 17-9 | 12 |
| ავსტრია | 10 | 3 | 2 | 5 | 15-16 | 8 |
| ფინეთი | 10 | 2 | 1 | 7 | 9-18 | 5 |
| ისრაელი | 10 | 1 | 3 | 6 | 10-27 | 5 |

ხვალ:
საფრანგეთი — ბულგარეთი

საფრანგეთმა არ უნდა წააგოს, მაგრამ ბულგარელები სულაც არ არიან ებრაელებზე ნაკლებნი და აგერ უკვე ათი დღეა ფრანკფურტიდან 80 კილომეტრით დაშორებულ გრუნბერგში ემზადებიან ფრანგების დასამხობად. გუნდში 9 ლეგიონერია. საინტერესოა, რომ ბულგარეთის ნაკრებს რვაჯერ უთამაშია საფრანგეთში და აქამდე ვერც ერთში ვერ გაუმარჯვნია.

ხვალ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს რუსეთი... ბი საბერძნეთში თამაშობს. სხვა უფრო მნიშვნელოვან ... შედარებით, ეს შეხვედრა დიდ ინტერესს არ იწვევს, თუმცა მაინც გირჩევთ ნახოთ ამ მატჩის რეპორტაჟი „ოსტანკინოზე", ვინაიდან რუსეთის ნაკრებში, შეიძლება, ყოფილი თბილისის დინამოელი ახრიკ ცვეიბას დებიუტი შედგეს. ეს ცნობა ბევრისთვის მოულოდნელია, რადგანაც, როგორც იცით, ცვეიბამ უკვე ითამაშა უკრაინის ეროვნულ გუნდში. თურმე ეს მატჩი არაოფიციალური ყოფილა და... მცირე შემოკლებით გთავაზობთ ჟურნალისტ იური იუდინის ახრიკ ცვეიბასთან ინტერვიუს, რომელიც მოსკოვის ყოველკვირეული „ფუტბოლის" 31 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა.

# ცვეიბა რუსეთის ნაკრებში



— ევროპის ჩემპიონატში განცდილი მატჩის შემდეგ თანამეგობრობის გუნდი დაიშალა. სხვათაშორის, მე იქ უკრაინული ფეხბურთის ერთადერთი წარმომადგენელი ვიყავი. ალბათ ხვდებით, როგორი განწყობილებით დავბრუნდი კიევში. მხოლოდ ერთი სურვილი გამიჩნდა — საზღვარგარეთ წავსულიყავი. იმედი მქონდა, რომ კიევის „დინამოს" ხელმძღვანელობა ნორმალური საფეხბურთო ქვეყნის ნორმალურ კლუბს მომინახავდა. სამწუხაროდ, მოლაპარაკებები და საცდელი მატჩები გერმანიის „კარლსრუეში", პოლონეთის ლ.კ.ს.-ში, ავსტრიის „მედლინგში" და საბერძნეთის „პაოკში" უშედეგოდ დამთავრდა. ამის მიზეზი ჩემი მესვეურების არაკომპეტენტურობა იყო.

**— იმ დროისთვის თქვენს კონტრაქტს კიევის კლუბთან ვადა ხომ გაუვიდა?**

— მეც ასე მეგონა, მაგრამ როდესაც ეს საკითხი დაისვა, აღმოჩნდა, რომ კონტრაქტი... ავტომატურად გაგრძელებულია.

**— მაპატიეთ, ვერ მიგიხვდით...**

— თავდაპირველად მეც ვერ მივხვდი, შემდეგ კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ უბრალოდ მომატყუეს. მე უკვე მიჩვეული ვიყავი მათ ფოკუსებს და ეს დიდად არ გამკვირვებია.

**— მართალია, რომ „კამაზამდე" თქვენ მოსკოვის „ტორპედოდან" მიიღეთ მიწვევა?**

— საბედნიეროდ, მოსკოველთა წინადადება არასერიოზული იყო.

**— რატომ საბედნიეროდ?**

— იმიტომ, რომ ვალერი ჩეტვერიკმა ნაბერეჟნიე ჩელნიში მიხმო. ჩვენ სერიოზული საუბარი გვქონდა და მე მივხვდი, რომ ეს ის იყო, რაც მე მინდოდა. „კამაზში" დამიბრუნდა ჩემი ძალებისადმი რწმენა და დავრწმუნდი, რომ ფეხბურთში ბოლო სიტყვა ჯერ არ მითქვამს. მწვრთნელებისა და პარტნიორების მხარდაჭერამ ფრთები შემასხა.

**— გავიგე, პირველი შვილი შეგეძინათ.**

— დიახ, ვაჟი. სანდრო დავარქვი. მეუღლე ბავშვთან ერთად კიევში ცხოვრობს მშვენიერ ბინაში, რომელიც მე გამოვისყიდე.

**— ბოლოს როდის იყავით მშობლიურ აფხაზეთში? რამდენადაც ვიცი, თქვენი მშობლები გუდაუთაში იმყოფებიან.**

— ერთი თვის წინ მოვინახულე ისინი. მაშინ აფხაზეთში, ხელშეკრულების თანახმად, საომარი მოქმედებები შეწყვეტილი იყო. საბედნიეროდ, გუდაუთში ... მასიურებულ დაბომბვებსა და ნგრევას — იქ ხომ არანაირი სტრატეგიული ობიექტები არ არის. რა თქმა უნდა, იგრძნობოდა საომარი ატმოსფერო: გარშემო ხალხი სამხედრო ფორმით დადიოდა, ქუჩებში საბრძოლო ტექნიკა იდგა. მშობლებისგან გავიგე, რომ ქართველთა თვითმფრინავის მიერ გამოსროლილმა ჭურვი ჩვენი სახლის ახლოს აფეთქდა. მეს ნამსხვრევებს კიდევ დიდხანს პოულობდნენ ჩვენს ბოსტანში. საერთოდ, ომი დიდი საშინელებაა. მას ყოველთვის უბედურება მოაქვს. იმედი მაქვს, რომ ახლა მაინც ცხოვრება აფხაზეთში მშვიდობიან კალაპოტში ჩადგება. მხოლოდ ღრმად განვიცდი, რომ ჩემი მეგობარ ფეხბურთელებს ზაურ ახვლედიანს და ოსკარ გვაზავას ვეღარ დავაბრუნებ.

**— ერთწლიანი „გაუჩინარების" შემდეგ თქვენ კვლავ დაბრუნდით დიდ ფეხბურთში, ახლა კი ნაკრებშიც მოგიწვიეს. როგორი იყო თქვენი დაბრუნება?**

— უსაზღვროდ სასიხარულო და სასიამოვნო. მთელი სულითა და გულით მინდოდა ნაკრებში თამაში, ერთხელ უკრაინის ნაკრებშიც ვითამაშე ამხანაგურ მატჩში, მაგრამ საბედნიეროდ იგი არაოფიციალური გამოდგა, რადგან ფიფა-ს იგი რეგისტრაციაში არ გაუტარებია. მოსკოვში არგენტინელებთან მატჩის შემდეგ ბორის იგნატიევმა შემომთავაზა რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში მეთამაშა. ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე თანხმობა განვუცხადე. ძალიან მინდა ვითამაშო მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ამერიკაში გაიმართება, რადგან კიდევ ერთი ასეთი შანსი, ალბათ, აღარ მექნება.

**— ახრიკ, თქვენ გამოდიოდით უკრაინის ჩემპიონატში, ახლა რუსეთისაში, ადრე კი საკავშიროშიც თამაშობდით. შეგიძლიათ შეადაროთ ისინი ერთმანეთს?**

— საკავშირო ლიგა ერთი თავით მაღლა იდგა. ახლანდელი რუსეთის ჩემპიონატი კი უკრაინისაზე ძლიერია. თუმცა, ყველა კლუბის თამაშის დონემ, „სპარტაკის" გარდა, დაიწია. რუსეთში ამინდს დედაქალაქის გუნდები ქმნიან, პლუს „როტორი" და ვლადიკავკაზელები, ე.ი. ისინი, ვინც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამოდიოდნენ. ასეთივე ვითარებაა უკრაინაშიც.

**— ახრიკ ცვეიბა კვლავ გამოჩნდა. რა ... მას წინ?**

— დაბეჯითებით მოლოდ ერთი რამ ვიცი — წინ რთული სეზონია. ვეცდები იმედები არ გავუცრუო რუსეთის ნაკრების და „კამაზის" გულშემატკივრებს და ღლენიადაგ კარგი ფეხბურთი ვითამაშო.

თარგმნა
ერეკლე კიკვიძიშვილმა

# რუსეთი

10 ნოემბერს დამთავრდა ქვეყნის მეორე ჩემპიონატი, სადაც მოსკოვის „სპარტაკმა" მეორედ მოიპოვა რუსეთის ჩემპიონის ტიტული. უმაღლესი ლიგა დატოვეს „როსტსელმაშმა" და „ასმარალმა".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" მოსკოვი | 34 | 21 | 11 | 2 | 81-18 | 53 |
| „როტორი" ვოლგოგრადი | 34 | 17 | 8 | 9 | 56-35 | 42 |
| „დინამო" მოსკოვი | 34 | 16 | 10 | 8 | 65-38 | 42 |
| „ტექსტილშჩიკი" კამიშინი | 34 | 14 | 11 | 9 | 45-34 | 39 |
| „ლოკომოტივი" მოსკოვი | 34 | 14 | 11 | 9 | 45-29 | 39 |
| „ტორპედო" მოსკოვი | 34 | 15 | 8 | 11 | 35-40 | 38 |
| „ურალმაში" ეკატერინბურგი | 34 | 16 | 4 | 14 | 51-52 | 36 |
| „სპარტაკი" ვლადიკავკაზი | 34 | 15 | 6 | 12 | 46-43 | 36 |
| „კამაზი" ნაბერეჟნიე ჩელნი | 34 | 12 | 6 | 16 | 45-53 | 30 |
| ც.ს.კ.ა. მოსკოვი | 34 | 12 | 6 | 16 | 43-45 | 30 |
| „ლოკომოტივი" ნიჟნი ნოვგოროდი | 34 | 12 | 6 | 16 | 34-49 | 30 |
| „დინამო" სტავროპოლი | 34 | 11 | 8 | 15 | 39-49 | 30 |
| „ჟემჩუჟინა" სოჭი | 34 | 10 | 10 | 14 | 52-62 | 30 |
| „კრილია სოვეტოვი" სამარა | 34 | 9 | 12 | 13 | 37-47 | 30 |
| „ლუჩი" ვლადივოსტოკი | 34 | 11 | 7 | 16 | 29-56 | 29 |
| „ოკეანი" ნახოდკა | 34 | 10 | 8 | 16 | 28-40 | 28 |
| „როსტსელმაში" როსტოვი | 34 | 8 | 12 | 14 | 35-52 | 28 |
| „ასმარალი" მოსკოვი | 34 | 7 | 6 | 21 | 28-53 | 20 |

# გერმანია

XIII ტურის გამოტოვებული მატჩი. კარლსრუე — შტუტგარტი 0:0

XVI ტური. 12-14 ნოემბერი. „ბორუსია". დორტმუნდი — „კაიზერსლაუტერნი" 2:1, „დუისბურგი" — „შალკე" 1:0, „ვერდერი" — „დინამო" 0:1, „კიოლნი" — „ბორუსია" მიონხენგლადბახი 0:4, „შტუტგარტი" — „ბაიერი" ლევერკუზენი 1:4, „ჰამბურგი" — „აინტრახტი" 3:0, „ბაიერნი" — „კარლსრუე" 1:0, „ვატენშაიდი" — „ნიურნბერგი" 2:1, „ლაიპციგი" — „ფრაიბურგი" 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 16 | 10 | 4 | 2 | 34-16 | 24 |
| ბაიერნი (2) | 16 | 8 | 5 | 3 | 38-17 | 21 |
| ჰამბურგი (11) | 16 | 9 | 2 | 5 | 32-24 | 20 |
| დუისბურგი (დ) | 16 | 7 | 6 | 3 | 22-21 | 20 |
| ლევერკუზ. (5) | 16 | 7 | 5 | 4 | 33-23 | 19 |
| კაიზერსლ. (8) | 16 | 8 | 3 | 5 | 31-22 | 19 |
| ვერდერი (1) | 16 | 7 | 5 | 4 | 26-19 | 19 |
| დორტმუნდი (4) | 16 | 7 | 3 | 6 | 24-23 | 17 |
| კიოლნი (12) | 16 | 7 | 3 | 6 | 21-22 | 17 |
| ფრაიბურგი (დ) | 16 | 5 | 5 | 6 | 27-29 | 15 |
| კარლსრუე (6) | 16 | 4 | 6 | 6 | 19-18 | 14 |
| შტუტგარტი (7) | 16 | 4 | 6 | 6 | 22-30 | 14 |
| მ.გლადბახი (9) | 16 | 4 | 5 | 7 | 28-33 | 13 |
| ნიურნბერ. (13) | 16 | 5 | 2 | 9 | 21-28 | 12 |
| ვატენშ. (14) | 16 | 2 | 7 | 7 | 22-31 | 11 |
| ლაიპციგი (დ) | 16 | 2 | 7 | 7 | 14-30 | 11 |
| დინამო (15) | 16 | 4 | 6 | 6 | 17-27 | 10 |
| შალკე (10) | 16 | 2 | 4 | 10 | 13-31 | 8 |

„დინამოს" დაკლებული აქვს 4 ქულა.

# ყაზახეთი

დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატი, რომლის ყველაზე დიდი მოულოდნელობაა „ქაირათის" მე-11 ადგილი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ანსათი" პავლოდარი | 22 | 14 | 6 | 2 | 43-15 | 34 |
| „ბათირი" ექიბასთუზი | 22 | 13 | 4 | 5 | 41-20 | 30 |
| „გორნიაკი" ხრომთაუ | 22 | 12 | 6 | 4 | 46-28 | 30 |
| „ჟიგერი" შიმქენთი | 22 | 11 | 7 | 4 | 43-28 | 29 |
| „ორდაბასი" შიმქენთი | 22 | 9 | 6 | 7 | 27-25 | 24 |
| „შახტიორი" ყარაგანდა | 22 | 8 | 6 | 8 | 25-29 | 22 |
| „დოსთიქი" ალმათი | 22 | 9 | 1 | 12 | 26-34 | 19 |
| „ხიმიკი" კუსტანაი | 22 | 7 | 5 | 10 | 26-31 | 19 |
| „აქტიუბინეცი" აქტიუბინსკი | 22 | 5 | 7 | 10 | 27-31 | 17 |
| „ვოსტოკი" უსტ-კამენოგორსკი | 22 | 7 | 2 | 13 | 26-40 | 16 |
| „ქაირათი" ალმათი | 22 | 5 | 3 | 14 | 23-41 | 13 |
| „ცელინნიკი" ცელინოგრადი | 22 | 4 | 3 | 15 | 21-42 | 11 |

**ფეხბურთის**



**რუკასთან**

**იტალიის** კლუბები აქტიურად „ეხმარებიან" მარსელის „ოლიმპიკს" კლუბის ვალის გადახდაში. ადრე „ლაციოში" გადასულ ალენ ბოკშიჩს გასულ კვირას კიდევ ორი მარსელელი დაემატა: „მილანმა" იყიდა მარსელ დესაი, „რეჯანამ" კი პორტუგალიელი პაულო ფუტრე. სამივე ფეხბურთელში „ოლიმპიკმა" 35 მილიონი დოლარი მიიღო.

**საფრანგეთის** ნაკრების და „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელ ერიკ კანტონას უეფა-მ ოთხი თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა „გალათასარაისთან" მატჩში კინკლაობისთვის. ეს მომენტი ჩვენმა მაყურებლებმაც ნახეს, მაგრამ კანტონას ესეც არ უკმარია და თამაშის შემდეგ მსაჯი როტლისბერგერი საქვეყნოდ გაულანძღა. დისკვალიფიკაცია ჰირველი ფეხბურთელის ეროვნულ ნაკრებში თამაშს არ ეხება.

**ესპანეთის** კლუბების პრეზიდენტთაგან ყველაზე მოუსვენარმა, მადრიდის „ატლეტიკოს" მფლობელმა ხესუს ხილმა გუნდში მორიგი მწვრთნელი მოიყვანა. ემილიო კრუზი აქამდე არასდროს წვრთნიდა პირველი დივიზიონის კლუბებს. ერთი ... მადრიდის „რაიო ვალე..." ... განელობდა, თუმცა იმხა... მეორე ლიგაში თამაშობ...

**ხორვატი** ზვონიმირ ბანი... ლიც „მილანში" თამაშობს, ... მცირე ... დღით გამოაკლდა თავის გუნდს „...რთან" მიღებული ტრავმის გამო. ... ოთხშაბათს ბობანს მტრულად მოყვანილ იმ... რაცია გაუკეთეს.



# პირველიდან...

[illegible]

[illegible]

## ყველა ჩემპიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]



[illegible]

[illegible]



ხუთგზის ჩემპიონი

ხუან მანუელ ფანხიო

(არგენტინა, 1911)

მოიგო 24 „გრან-პრი"

[illegible]

[illegible]



სამგზის ჩემპიონი

ჯეკ ბრებემი

(ავსტრალია, 1926)

16 წლის მანძილზე (1955-1970) 14 „გრან-პრი" მოიგო

[illegible]

[illegible]



სამგზის ჩემპიონი

ჯონ იანგ „ჯეკი" სტიუარტი

(შოტლანდია, 1939)

9 წლის მანძილზე (1965-1973) მოიგო 27 „გრან-პრი"

[illegible]

[illegible]

# ორმოცდამეთოთხმეტე: 1950–1993

სულ ჩემპიონის წოდება მოპოვებული აქვთ 12 ქვეყნის პილოტებს. 8 გამარჯვებით წინ არიან ბრაზილიელები (3-3-ჯერ ნელსონ პიკე და სენა, 2-ჯერ ემერსონ ფიტიპალდი).

ვერაფრით დააღწია თავი უსაშველოდ გაჭიანურებულ კრიზისს ლეგენდარულმა „ფერარიმ". სამ წელზე მეტია (50 რბოლა) იტალიელთა სათაყვანებელ სისხლისფერ ბედაურებს არ გაუმარჯვნიათ. ასეთი ხანგრძლივი ჩავარდნა მათ არასდროს ჰქონიათ. ამიტომ, მეტოქეებზე ის უდიდესი უპირატესობა, რომლის მიღწევასაც წლები დასჭირდა, ნელ-ნელა თვალსა და ხელს შუა გაქრა და „ფერარის" ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რეკორდს (მოგებულ ეტაპთა რაოდენობა) წლეულს „მაკლარენი" დაეპატრონა.

რამდენიმე სიტყვით ბოლო წლების ტრიუმფატორის შესახებ. გუნდი, რომელიც ფორმულის ახალზელანდიელი პილოტის ბრუს მაკლარენის (1937-1970) სახელს ატარებს, 1963 წელს შეიქმნა. ფორმულა-1 რბოლებში დებიუტი 3 წლის შემდეგ ქონდა. პირველი „გრან-პრი" სწორედ მაკლარენმა მოიგო 1968 წელს ბელგიაში. ბრუს მაკლარენი 33 წლისა დაიღუპა, მანამდე კი საკუთარი ფირმის შექმნაც მოასწრო და გინესის წიგნშიც აღმოჩნდა. ახალზელანდიელი მძღოლი ყველაზე ახალგაზრდაა იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე მოუგია „დიდი პრიზი" — 1959 წლის 12 დეკემბერს 22 წლისამ გაიმარჯვა აშშ-ის ქალაქ სებრინგში.

თავიდან, თითქმის 20 წელი, ეს ინგლისური გუნდი სათანადო კონკურენციას ვერ უწევდა „ფერარისა" და „ლოტუსს". მაგრამ, მას შემდეგ, რაც ფირმას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი რონ დენისი, შედეგები მკვეთრად გაუმჯობესდა. „მაკლარენი" უდაოდ, ბოლო ათწლეულის საუკეთესო მანქანაა — მისი პილოტები შვიდჯერ იყვნენ ჩემპიონები და 160 რბოლიდან თითქმის ნახევარი — 70 მოიგეს(!). გასულ კვირას ავსტრალიაში სენას გამარჯვება 104-ე გახდა სახელოვანი ფირმის ისტორიაში. ამ მაჩვენებლით ინგლისელებმა ბოლოსდაბოლოს გადაასწრეს „ფერარის".

ცხრილში მოყვანილია 6 საუკეთესო გუნდის მიღწევები: პირველ გრაფაში — რბოლების რაოდენობა, მეორეში — მოგებული „დიდი პრიზები", მესამეში — გამარჯვებათა პროცენტი:

| | | | |
|---|---|---|---|
| „მაკლარენი" | 394 | 104 | 26,4 |
| „უილიამსი" | 313 | 71 | 22,7 |
| „ფერარი" | 521 | 103 | 19,8 |
| „ლოტუსი" | 474 | 79 | 16,7 |
| „ბრებჰემი" | 392 | 35 | 8,9 |
| „ტირელი" | 336 | 23 | 6,8 |

პილოტთა ანალოგიური ცხრილი ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) | 51 | 24 | 47,1 |
| ჯიმ კლარკი (დიდი ბრიტანეთი) | 72 | 25 | 34,7 |
| ჯეკი სტიუარტი (დიდი ბრიტანეთი) | 99 | 27 | 27,3 |
| აირტონ სენა (ბრაზილია) | 158 | 41 | 25,9 |
| ალენ პროსტი (საფრანგეთი) | 199 | 51 | 25,6 |
| სტირლინგ მოსი (დიდი ბრიტანეთი) | 96 | 16 | 16,7 |
| ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი) | 181 | 30 | 16,6 |
| ნიკი ლაუდა (ავსტრია) | 171 | 25 | 14,6 |
| ნელსონ პიკე (ბრაზილია) | 205 | 23 | 11,2 |
| ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია) | 144 | 14 | 9,72 |



სამგზის ჩემპიონი

**ანდრეას ნიკლაუს „ნიკი" ლაუდა**

(ავსტრია, 1949)

მოუგია 25 „გრან-პრი"

გამოდიოდა „ფერარით", „ბრებჰემით", „მაკლარენით"



სამგზის ჩემპიონი

**ნელსონ სოტომაიორ პიკე**

(ბრაზილია, 1952)

14 წლის მანძილზე (1978-1991) 23 „გრან-პრი" მოუგია

გამოდიოდა „ლოტუსის" „ბრებჰემისა" და „უილიამსის" მანქანებით



სამგზის ჩემპიონი

**აირტონ სენა და სილვა**

(ბრაზილია, 1960)

10 წლის მანძილზე (1984-1993) 44 „გრან-პრი" მოუგია

გამოდიოდა „ტოლმენით", „ლოტუსით", „მაკლარენით"

გარცებას იწვევს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ხუან მანუელ ფანხიოს უნიკალური მაჩვენებელი — იგი ფაქტობრივად ყოველ მეორე რბოლას იგებდა.

და ბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო ცხრილი, რომლის მესამე გრაფა გვიჩვენებს, საშუალოდ ვინ რამდენ ქულას აგროვებდა რბოლაში:

| | | | |
|---|---|---|---|
| ფანხიო | 51 | 277,5 | 5,4 |
| პროსტი | 199 | 798,5 | 4,0 |
| სენა | 158 | 614 | 3,9 |
| კლარკი | 72 | 274 | 3,8 |
| სტიუარტი | 99 | 360 | 3,6 |
| მენსელი | 181 | 469 | 2,6 |
| ლაუდა | 171 | 420,5 | 2,5 |
| პიკე | 205 | 483,5 | 2,4 |
| კარლოს რუტმანი (არგენტინა) | 146 | 310 | 2,1 |
| ბრებჰემი | 126 | 261 | 2,0 |

## ყველა ჩემპიონატის ათი საუკეთესო შედეგი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაიჯელ მენსელი | „უილიამსი" | 108 | 1992 |
| 2 | ალენ პროსტი | „მაკლარენი" | 105 | 1988 |
| 3 | ალენ პროსტი | „უილიამსი" | 99 | 1993 |
| 4 | აირტონ სენა | „მაკლარენი" | 96 | 1991 |
| 5 | აირტონ სენა | „მაკლარენი" | 94 | 1988 |
| 6 | ალენ პროსტი | „მაკლარენი" | 81 | 1989 |
| 7 | აირტონ სენა | „მაკლარენი" | 78 | 1990 |
| 8 | ალენ პროსტი | „მაკლარენი" | 76 | 1985 |
| 9 | ნელსონ პიკე | „უილიამსი" | 76 | 1987 |
| 10 | ალენ პროსტი | „მაკლარენი" | 74 | 1986 |



სამი წლის წინ სწორედ ამ მანქანით მოიპოვა ალენ პროსტმა „ფერარისთვის" ბოლო „გრან-პრი"

მასალა მოამზადა გია ახალაძემ

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ჩემპიონები კონსტრუქტორთა შორის

| | | |
|---|---|---|
| 1958 | ვენუოლი | |
| 1959 | კუპერ კლიმა | |
| 1960 | კუპერ კლიმა | |
| 1961 | ფერარი | |
| 1962 | BRM | |
| 1963 | ლოტუს კლიმა | |
| 1964 | ფერარი | |
| 1965 | ლოტუს კლიმა | |
| 1966 | ბრებჰემ რეპკო | |
| 1967 | ბრებჰემ რეპკო | |
| 1968 | ლოტუს ფორდი | |
| 1969 | მატრა ფორდი | |
| 1970 | ლოტუს ფორდი | |
| 1971 | ტირელ ფორდი | |
| 1972 | ლოტუს ფორდი | |
| 1973 | ლოტუს ფორდი | |
| 1974 | მაკლარენ ფორდი | |
| 1975 | ფერარი | |
| 1976 | ფერარი | |
| 1977 | ფერარი | |
| 1978 | ლოტუს ფორდი | |
| 1979 | ფერარი | |
| 1980 | უილიამს ფორდი | |
| 1981 | უილიამს ფორდი | |
| 1982 | ფერარი | |
| 1983 | ფერარი | |
| 1984 | მაკლარენ პორშე | 143,5 |
| 1985 | მაკლარენ პორშე | 90 |
| 1986 | უილიამს ჰონდა | 141 |
| 1987 | უილიამს ჰონდა | 137 |
| 1988 | მაკლარენ ჰონდა | 199 |
| 1989 | მაკლარენ ჰონდა | 141 |
| 1990 | მაკლარენ ჰონდა | 121 |
| 1991 | მაკლარენ ჰონდა | 139 |
| 1992 | უილიამს რენო | 164 |
| 1993 | უილიამს რენო | 168 |



პირველი ჩემპიონი

**ჯუზეპე „ნინო" ფარინა**

(იტალია, 1906-66)

მოუგია 5 „გრან-პრი"

გამოდიოდა „ალფა-რომეოსა" და „ფერარის" მანქანებით



ოთხგზის ჩემპიონი

**ალენ პროსტი**

(საფრანგეთი, 1955)

14 წლის მანძილზე (1980-1993) 51 „გრან-პრი" მოუგია

გამოდიოდა „მაკლარენის", „რენოს", „ფერარისა" და „უილიამსის" მანქანებით



„რენოს" ძრავიანი სუპერ „უილიამსი" ბოლო სამი წელია, სასწაულებს ახდენს

# ტოტალიზატორი "CROCO"

**თამაშის წესები:**

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სტადიონის V სალაროში.

## უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 17 ნოემბერი | არგენტინა — ავსტრალია | | 1,2 | 2,3 | 6,2 |
| | იტალია — პორტუგალია | | 1,4 | 2,0 | 5,0 |
| | მალტა — შოტლანდია | 1:0 | 3,0 | 2,0 | 1,8 |
| | შვეიცარია — ესტონეთი | 0:2 | 1,6 | 1,6 | 6,0 |
| | სან-მარინო — ინგლისი | 6:0 | 1,8 | 2,8 | 1,8 |
| | პოლონეთი — ჰოლანდია | | 4,6 | 1,7 | 1,7 |
| | ჩრდ. ირლანდია — ირლანდია | | 4,0 | 2,4 | 1,3 |
| | ესპანეთი — დანია | | 1,7 | 2,0 | 3,2 |
| | უელსი — რუმინეთი | | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | ბელგია — ჩეხეთსლოვაკეთი | | 1,6 | 2,2 | 3,2 |
| | საბერძნეთი — რუსეთი | | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | საფრანგეთი — ბულგარეთი | | 1,5 | 2,3 | 3,4 |
| | გერმანია — ბრაზილია | | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| 19 ნოემბერი | კარლსრუე — ვატენშაიდი | | 1,3 | 2,4 | 4,6 |
| | მიონხენგლადბახი — ვერდერი | | 2,3 | 2,3 | 2,0 |
| | აინტრახტი — კიოლნი | | 1,2 | 2,5 | 5,7 |
| 20 ნოემბერი | ფრაიბურგი — დუისბურგი | | 1,5 | 2,3 | 3,5 |
| | კაიზერსლაუტერნი — ჰამბურგი | | 1,5 | 2,3 | 3,5 |
| | ნიურნბერგი — დორტმუნდი | | 1,7 | 2,3 | 3,0 |
| | შალკე — ბაიერნი | | 3,2 | 2,2 | 1,6 |
| | ლევერკუზენი — ლაიპციგი | | 1,2 | 2,5 | 5,7 |
| | დრეზდენი — შტუტგარტი | | 1,5 | 2,3 | 3,5 |
| | მარსელი — ოსერი | | 1,6 | 2,2 | 3,2 |
| | ნანტი — კანი | | 1,2 | 2,2 | 6,5 |
| | ტულუზა — პსჟ | | 3,5 | 2,3 | 1,5 |
| | ტოტენჰემი — ლიდსი | | 1,5 | 2,3 | 3,5 |
| | ჩელსი — არსენალი | | 2,0 | 2,5 | 2,0 |
| | ევერტონი — ქუინზ პარკი | | 1,6 | 2,2 | 3,0 |
| | ნიუკასლი — ლივერპული | | 1,8 | 2,4 | 2,4 |
| 21 ნოემბერი | ხიხონი — ბილბაო | | 2,4 | 2,2 | 1,9 |
| | სევილია — ვალენსია | | 1,2 | 2,3 | 5,8 |
| | სარაგოსა — ტენერიფე | | 2,1 | 1,8 | 2,6 |
| | ვალიადოლიდი — ატლეტიკო | | 2,5 | 2,2 | 1,8 |
| | ატალანტა — პარმა | | 2,5 | 2,0 | 2,0 |
| | ფოჯა — სამპდორია | | 2,7 | 2,2 | 1,7 |
| | ჯენოა — ინტერი | | 2,7 | 2,2 | 1,7 |
| | იუვენტუსი — კალიარი | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | ლაციო — ტორინო | | 1,5 | 2,3 | 3,5 |
| | ლეჩე — რომა | | 2,5 | 2,2 | 1,8 |
| | მილანი — ნაპოლი | | 1,2 | 2,4 | 6,0 |

# სიახლე!

16 ნოემბრიდან იწყება ახალი სახის ფსონების მიღება:

ქვემოთ მოყვანილი კოეფიციენტები იმოქმედებს მხოლოდ 24 ნოემბრამდე მიღებული ფსონებისთვის. 24 ნოემბრიდან ყოველი ჩატარებული ტურის შემდეგ კოეფიციენტების სიდიდე თანდათან დაიკლებს. ქვითარზე აღინიშნება ფსონის ჩაბარების თარიღი და მოგების შემთხვევაში მიიღებთ თანხას იმ კოეფიციენტით, რომელიც მოქმედებდა ფსონის ჩაბარების დროს.

## ჩემპიონთა თასი

1. ჯგუფში გუნდების მიერ დაკავებული ადგილების თანმიმდევრობა — 5,0
2. ჯგუფიდან ნახევარფინალში გასვლა:

„ა" ჯგუფი:
ბარსელონა — 1,5
მონაკო — 2,0
სპარტაკი — 2,0
გალათასარაი — 2,5

„ბ" ჯგუფი:
მილანი — 1,5
ვერდერი — 2,0
პორტუ — 2,0
ანდერლეხტი — 2,5

ფსონის გაკეთება შეიძლება ჯგუფიდან როგორც ერთი, ასევე ორივე გუნდის გასვლაზე. ამ შემთხვევაში შესაბამისი კოეფიციენტები მრავლდება.

3. ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდის გამოცნობა:

„ა" ჯგუფი:
ბარსელონა — 1,7
მონაკო — 4,5
სპარტაკი — 4,5
გალათასარაი — 8,0

„ბ" ჯგუფი:
მილანი — 1,7
ვერდერი — 4,0
პორტუ — 5,0
ანდერლეხტი — 8,0

### თასის მფლობელის გამოცნობა:

| ჩემპიონთა თასი | თასების თასი | უეფას თასი | |
|---|---|---|---|
| მილანი — 2,6 | აიაქსი — 4,0 | იუვენტუსი — 3,0 | კარლსრუე — 12,0 |
| ბარსელონა — 3,3 | პარმა — 4,0 | ინტერი — 3,0 | სპორტინგი — 15,0 |
| ვერდერი — 5,0 | რეალი — 4,0 | აინტრახტი — 4,0 | ტენერიფე — 15,0 |
| პორტუ — 6,0 | არსენალი — 5,0 | ბორუსია — 6,0 | ბრონდბიუ — 30,0 |
| ანდერლეხტი — 7,0 | ტორინო — 6,0 | ნორვიჩი — 6,0 | მეხელენი — 30,0 |
| მონაკო — 8,0 | პსჟ — 6,0 | ლა კორუნია — 10,0 | ბოავიშტა — 30,0 |
| სპარტაკი — 8,0 | ბენფიკა — 7,0 | კალიარი — 10,0 | კაზინო — 75,0 |
| გალათასარ. — 10,0 | ბაიერი — 8,0 | ბორდო — 12,0 | ოფი — 75,0 |

# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 36 19-24 ნოემბერი

| | | შარშან | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | **გერმანიის ჩემპიონატი** | | | |
| 1 | აინტრახტი — კიოლნი | 2:1, 1:0 | 8 1 1 | 1 |
| 2 | მიონხენგლადბახი — ვერდერი | 3:1, 0:2 | 3 3 4 | 1 X 2 |
| 3 | ნიურნბერგი — დორტმუნდი | 1:2, 2:4 | 1 3 6 | 2 |
| 4 | კაიზერსლაუტერნი — ჰამბურგი | 2:2, 2:2 | 3 5 2 | 1 X |
| | **იტალიის ჩემპიონატი** | | | |
| 5 | ატალანტა — პარმა | 2:1, 0:0 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 6 | ფოჯა — სამპდორია | 1:0, 3:3 | 2 5 3 | X 2 |
| 7 | ჯენოა — ინტერი | 1:1, 0:4 | 2 5 3 | X 2 |
| | **ჩემპიონთა ლიგა** | | | |
| 8 | მონაკო — სპარტაკი | | 4 4 2 | 1 X |
| 9 | გალათასარაი — ბარსელონა | | 2 5 3 | X 2 |
| 10 | ანდერლეხტი — მილანი | | 3 3 4 | 1 X 2 |
| 11 | პორტუ — ვერდერი | | 3 5 2 | 1 X |

დღეისთვის შემოსულია 397 920 კუპონი

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 16 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

## საჯილდაო

### ბოლო, მეცხრე წრის პასუხები

(1) რომელ მთამსვლელებს დაუპყრიათ ყველა (რამდენი?) რვაათასიანი მწვერვალი? სადაურები ყოფილან? — 14-ვე რვაათასიანი დაუპყრიათ იტალიელ რაინჰოლდ მესნერსა და პოლონელ იეჟი კუკუშკას

(2) ვინ (სახელი, გვარი, წოდება, სადაურობა) გახდა სსრკ-ის ბოლო ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის? სად და როდის? რით აჯობა უახლოეს მდევარს? ვის? — სომეხმა ოსტატმა არტაშეს მინასიანმა 1991 წლის ნოემბერში, მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში კოეფიციენტით აჯობა აზერბაიჯანელ ელმარ მაღერამოვს

(3) ავსტრალიაში მოქმედი კარანტინის მიუხედავად 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადაზე როგორ მოხერხდა ხუთჭიდელთა შეჯიბრების გამართვა, თუკი მასში ცხენოსნობაც შედიოდა? — ხუთჭიდელები ასპარეზობენ მასპინძელთა ცხენებით, რომლებიც წილისყრით უნაწილდებათ

(4) ვინ იყო თბილისის პირველი ჩემპიონი სპორტულ პრეფერანსში? ბანქოს გარდა, ისა და მისი ძმა (რა ჰქვია?) კიდევ რომელ სპორტს მისდევენ? ძმას რისთვის მიუღწევია? — ნუკრი ხვედელიძე; ისა და მისი ძმა ალეკო მორაგბეები არიან; ალეკოს უთამაშნია სსრკ-ის და საქართველოს ნაკრებებში

(5) ყოფილ საბჭოეთს გარეთ რომელი საფეხბურთო „დინამოები" გაგიგიათ? — ბუქარესტის, ტირანის, დრეზდენის, ბერლინის, ზაგრების — ევროპაში; ლუსაკის (ზამბია), ჰარარეს (ზიმბაბვე) და იოჰანესბურგის (სამხრეთი აფრიკა) — აფრიკაში

(6) როდის დაშალეს თბილისის „ლოკომოტივის" რაგბის გუნდი? ბოლოს ვის ეთამაშნენ? რა დაბრალდათ? ცილი ვინ დასწამათ? ვინ და როგორ დასაჯეს? ვისი დაჟინებითა და მონაწილეობით? რა ბედი ეწიათ დასჯილებს? „ლოკომოტივის" კვალად რომელი გუნდი ჩამოყალიბდა? დღეს რა ჰქვია ამ გუნდს? — 1987 წლის ივნისში; კრასნოიარსკში თამაშის შემდეგ; სტიუარდესა აზარიონოკისთვის გავაზე ჩქმეტა, შლაპის ჩამოფხატვა და ხითხითი; „სოვეტსკი სპორტის" მუშაკმა სერგეი ვიშნიაკოვმა; 22 მოთამაშესა და ორ მწვრთნელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს; ნუგზარ ფოფხაძის; 1988 წლის თებერვალში უხმაუროდ შეიწყალეს; „ელმავალი", რომელსაც დღეს „ვესტა" ჰქვია

(7) რომელი ოლიმპიადები ჩაშლილა მსოფლიო ომების გამო? როდის? სად უნდა გამართულიყვნენ? ხელმოცარული მასპინძლებიდან რომელს ვეღარ ღირსებია თამაშების გამართვა? — 1916 წელს ბერლინში; 1940 წელს — სანკტ-მორიცსა და ჰელსინკში; 1944 წელს — კორტინა-დამპეცოსა და ლონდონში; პირიქით, თამაშებს მერე და მერე ხუთივემ უმასპინძლა

(8) რომელი ქვეყნები მიიჩნევიან კრიკეტში ტესტის მთამაშებლებად? ბოლოს ვის მიენიჭა ეს სტატუსი? — ინგლისი, ავსტრალია, სამხრეთი აფრიკა, ახალი ზელანდია, ვესტ-ინდოეთი, ინდოეთი, პაკისტანი, შრი-ლანკა და ზიმბაბვე, რომელსაც ბოლოს მიენიჭა ეს სტატუსი

(9) კალათბურთში მოთამაშის ჯაჯარიმებისას მსაჯი მდივანს დამრღვევს მიანიშნებს, ეს კი ხელის აწევით დარღვევას სცნობს, მერე, ... ბოლოს კი მეტოქე ბურთს კიდიდან შემოაგდებს ან საჯარიმოს ტყორცნის. პროცედურის რომელი არსებითი მომენტი გამოგვრჩა? — მსაჯები ერთმანეთს ადგილს გაუცვლიან

კომერციული ბანკი Commercial Bank
მინაგობანკი MINAGOBANK
„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"
სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

## შედეგთა დაფა

### ცურვა

ევროპის ჩემპიონატი სპრინტში. გეითსჰედი, ინგლისი. 25-მეტრიანი აუზი. ვაჟები. 50 მ ბატერფლაი. 1. კარლოს სანჩესი (ესპანეთი) — 24.04, 2. იან კარლხონი (შვედეთი) — 24,19, 3. ვლადიმერ პრედკინი (რუსეთი) — 24,32. 50 მ ზურგზე. 1. პატრიკ პერმანშპანი (გერმანია) — 25,76, 2. ტინო ვებერი (გერმანია) — 25,78, 3. ულფ პეგმენი (შვედეთი) — 25,99. 100 მ კომპლექსური ცურვა. 1. რონ დეკერი (ჰოლანდია) — 55,77, 2. სეი ინდრეკი (ესტონეთი) — 56,07, 3. კრისტიან კელერი (გერმანია) — 56,14. ესტაფეტა 4X50 თავისუფალი სტილით. 1. შვედეთი — 1.28.80, 2. გერმანია — 1.28.88, 3. ხორვატია — 1.32.96.

ქალები. 50 მ ბრასი. 1. სილვია გერაში (გერმანია) — 31.57, 2. პეგი პარტინგი (გერმანია) — 31.89, 3. კარინ რეიკი (დიდი ბრიტანეთი) — 31.89. 50 მ თავისუფალი სტილი. 1. ზანდრა ფელკერი (გერმანია) — 25.55, 2. ლინდა ოლაფსონი (შვედეთი) — 25.56, 3. ანეტ პადინგი (გერმანია) — 25.79. 4X50 მ კომბინირებული ესტაფეტა. 1. გერმანია — 1.53.26, 2. შვედეთი — 1.53.74, 3. დიდი ბრიტანეთი — 1.57.13. 4X50 თავისუფალი სტილით ესტაფეტა. 1. გერმანია — 2.01.15, 2. დიდი ბრიტანეთი — 2.01.45

### კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ვაჟები

ფინეთი — რუსეთი 98:96, თურქეთი — ისრაელი 81:87, იტალია — ბულგარეთი 92:58, უნგრეთი — საფრანგეთი 67:68, სლოვაკეთი — ხორვატია 90:92, ბულგარეთი — უნგრეთი 78:65, რუსეთი — ბოსნია 97:77, უკრაინა — ფინეთი 101:111

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) რეგულარული ჩემპიონატი

ბოსტონი — მილუოკი 108:100, ჩიკაგო — ატლანტა 106:80, იუტა — სიეტლი 100:101, ნიუ-იორკი — ფილადელფია 95:86, ორლანდო — ინდიანა 104:98, კლივლენდი — შარლოტი 113:108, დეტროიტი — ვაშინგტონი 112:118, დალასი — ნიუ-ჯერსი 80:86, სან-ანტონიო — მინესოტა 110:95, კლიპერსი — ფინიქსი 99:114, ლეიკერსი — პორტლენდი 102:109, გოლდენ სტეიტი—ჰიუსტონი 93:102, სიეტლი — დენვერი 118:86, ნიუ-ჯერსი — ინდიანა 105:108, მაიამი — მილუოკი 116:103, შარლოტი — ორლანდო 120:87, სიეტლი — კლივლენდი 115:102, ბოსტონი — შარლოტი 107:110, ვაშინგტონი — ფილადელფია 115:100, ჰიუსტონი — მინესოტა 107:99, კლიპერსი — დეტროიტი 111:99, ორლანდო — მაიამი 100:115, ინდიანა — ნიუ იორკი 84:113, მინესოტა — დალასი 99:115, იუტა — დეტროიტი 109:89, ლეიკერსი — დენვერი 84:113, გოლდენ სტეიტი — კლივლენდი 93:102, საკრამენტო — სან ანტონიო 93:91, პორტლენდი — ატლანტა 94:98, ნიუ იორკი — მილუოკი 99:86, ნიუ-ჯერსი—ფილადელფია 97:98, ჩიკაგო — ბოსტონი 97:98, დალასი — იუტა 100:101, ჰიუსტონი — ფინიქსი 99:95, დენვერი — გოლდენ სტეიტი 106:98, კლიპერსი — სან ანტონიო 92:90, სიეტლი — ატლანტა 97:89.

### რაგბი

9.XI (სამ) ტურნეს V თამაში. როსარიო (არგენტინა) 26 სამხრეთი აფრიკა 40 (5ლ, 3გ, 3ს)

10.XI (ოთხ) ტურნეს VI თამაში. გალაშილსი. სამხრეთი შოტლანდია 5 (5) (ლ) ახალი ზელანდია 84 (46) (12ლ: ზ. ბრუკი-4, ჰოვარდი-2, პიუითი-2, ბეშოფი, მიტჩელი, ელისი, პრესტონი; 9გ, 2ს: ჰოვარდი). საერთაშორისო მატჩი. კარდიფი. უელსი 24 (8ს: ჯენკინსი) კანადა 26 (2ლ: ი. სტიუარტი, შარონი; 2გ, 4ს: რიისი)

11.XI (ხუთ) ტურნეს ბოლო, VIII თამაში. კლერმონ-ფერანი. ფრანგი ბარბაროსები 26 (2ლ: სანტანდრე, დალმაზო) ავსტრალია 43 (3ლ: ლიი, კეჩპოული, კემპიზი; 2გ, 8ს: რობაკი)

13.XI (შაბ) ტურნეს VII თამაში. გლაზგო. შოტლანდია „ა" 9 (6) (2ა: ვაილი; ს: დოდზი) ახალი ზელანდია 20 (14) (ლ: ელისი; 5ს: კუპერი). საერთაშორისო მატჩი. დუბლინი. ირლანდია 25 (19) (ლ: გეგანი; გ, 6ს: ელვუდი) რუმინეთი 3 (0). ტურნეს ბოლო, VI თამაში. მეორე ტესტი. ბუენოს-აირესი. არგენტინა 23 სამხრეთი აფრიკა 52. სერიის ანგარიში 0-2

14.XI (კვი) შოტლანდიის პროვინციები 24 ოკლენდი (ახალი ზელანდიის პროვინციათა ჩემპიონი) 19

### ჩოგბურთი

8-14.XI

ევროპის თანამეგობრობის ჩემპიონატი. ანტვერპენი, ბელგია. საპრიზო ფონდი 1,1 მლნ. დოლარი. ნახევარფინალი. პიტ სამპრასი (აშშ, განთესვის ნომერი 1) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 4:6, 7:5, 6:1; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — ბორის ბეკერი (გერმანია, შარშანდელი ჩემპიონი) 7:6, 6:3. ფინალი. სამპრასი — გუსტაფსონი 6:1, 6:4

„კრემლის თასი". მოსკოვი, რუსეთი. საპრიზო ფონდი 325 000 დოლარი. ნახევარფინალი. მარკ როსე (შვეიცარია, შარშანდელი ჩემპიონი) — დმიტრი პოლიაკოვი (უკრაინა) 6:3, 2:6, 6:3; პატრიკ კიუნენი (გერმანია) — კარსტენ ბრააში (გერმანია) 7:6, 7:6. ფინალი. როსე—კიუნენი 6:4, 6:3.

„ვირჯინია სლიმზის" ქალთა სერიის შეჯიბრება. ფილადელფია, აშშ. საპრიზო ფონდი 750 000 დოლარი. ნახევარფინალი. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 2) — ემი ფრეიზერი (აშშ) 6:2, 6:4; შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — კიმბერლი პოუ (აშშ) 6:3, 6:1. ფინალი. მარტინესი—გრაფი 6:3, 6:3. გრაფი 7 ტურნირისა და 45 მატჩის მოგების შემდეგ დამარცხდა

ძალოსნობა

# კახიაშვილი ავსტრალიას გაემგზავრა



პარასკევს მელბურნში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობაში. ჩვენი სპორტის ისტორიაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწეროს, გამოვლინდეს პირველი მსოფლიოს ჩემპიონი საქართველოდან. ამ წარმატებას კახი კახიაშვილისგან ველით, რომელიც ჩვენი გუნდის მეორე წევრთან, ამბროლაურელ ბიძინა მიქიაშვილთან (83 კგ), ნაკრების მწვრთნელთან ვანო გრიქუროვთან და ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტთან რამაზ გურგენიძესთან ერთად ავსტრალიას გაემგზავრა. გამგზავრების წინა დღეს ვინახულეთ საქართველოს დელეგაციის წევრები, რომლებიც ძალოსნობის დარბაზში, საკუთარი ხელებით მოწყობილ, მამაპაპურ, მოტკაცუნე შეშის ღუმელთან, უზარმაზარი მორების და უკვე დაპობილი შეშის გვერდით, ბოლო ვარჯიშისთვის ემზადებოდნენ. პირველად კახიაშვილს ვესაუბრეთ.

— **ასეთ პირობებში კარგად თუ მოემზადე?**

— ძალოსნები ვართ და მორების დარბაზამდე მოთრევა არ გაგვჭირვებია. ხუმრობა გვერდით იყოს და საუკეთესოდ ვარ მომზადებული, ახლა ამ მომზადებას შეჯიბრებაზე რეალიზაცია სჭირდება. ამისთვის აუცილებელია კარგი მგზავრობა და სპორტული იღბალი.

— **ალბათ ყველა მთავარი კონკურენტი იქ იქნება.**

— ჩემი ინფორმაციით ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს ანატოლი ხრაპატი ყაზახეთიდან. იგი ოლიმპიური ჩემპიონია და იმ რეკორდის ავტორი, ბარსელონაში რომ გავიმეორე. ბოლო დროს მას ბევრჯერ შევხვდი და ყველა მოვუგე. იქნება ახალგაზრდა რუსი პეტროვი, რომელსაც არასდროს შევჯიბრებივარ. თუ პოლონელები იქნებიან (მათ დისკვალიფიკაცია აქვთ დოპინგში მხილების გამო) სერგიუშ ვოლჩანიეცკისთანაც მომიწევს პაექრობა.

— **ფსიქოლოგიურად როგორ ხარ მზად?**

— ჯერჯერობით კარგად.

— **ალბათ დოპინგ-კონტროლზე ყველას შეამოწმებენ.**

— წინასწარი ტესტი უკვე გავლილი მაქვს. კიდევ შეგვამოწმებენ ჩასვლის და შეჯიბრების დღეებში.

— **სპონსორობა თუ გაგიწია ვინმემ?**

— ჩემპიონატზე სპორტკომიტეტის ხარჯით მივდივართ. პირადად მე კი დიდი დახმარება გამიწია თავდაცვის მინისტრმა გია ყარყარაშვილმა (კახიაშვილი არმიის სპორტკლუბის წევრია), რომელმაც კვების პრობლემა მომიგვარა, ჩემპიონატისთვის მზადების დროს ბაზარში სიარული არ დამჭირვებია. საერთოდაც, რაც ვთხოვე ყველაფერი შემისრულა.

— **შენი ასპარეზობის გრაფიკი უკვე იცი?**

— ყველაფერი წინასწარ არის ცნობილი. მე შეჯიბრებაში 18 ნოემბერს საღამოს ხუთ საათზე ჩავებმები.

შემდეგი თანამოსაუბრე ბიძინა მიქიაშვილი იყო.

— **რომელ ადგილს უმიზნებ ჩემპიონატში?**

— აკვრაში მედლისთვის ვიბრძოლებ. ვარჯიშზე 200 კგ ავკარი, ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ 205 კგ-ისთვის მზად ვარ. ეს საუკეთესო შედეგი იქნება, რადგან ოლიმპიადაზე 202 კგ-მ მოიგო. ატაცში ისე კარგად ვერ ვარ მზად, ჩემს მიერ ვარჯიშზე ნაჩვენები 155 კგ საშუალო შედეგია. საერთოდ, დიდ სპორტზე მომავალი წლიდან შემეძლება საუბარი, რადგან ვარჯიშისთვის ორი წლის განმავლობაში თავი დანებებული მქონდა და მხოლოდ კახის ოლიმპიურმა ოქრომ მიბიძგა ისევ დავბრუნებოდი საქმეს, სადაც ვთვლი, რომ ნიჭი მაქვს. ახლა ერთი წელიწადია, რაც ვვარჯიშობ და ამ შრომის სრულყოფილ შედეგს გაისიდან ველი. ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადებაში ხელი ავადმყოფობამაც შემიშალა.

მწვრთნელი ვანო გრიქუროვი:

— ცუდ პირობებში მოგვიწია მზადება. ევროპის ჩემპიონატის წინა პერიოდთან შედარებით ერთადერთი უპირატესობა ის იყო, რომ ზაფხულსა და შემოდგომაზე დარბაზში არ ყინავდა. მაინც შევძელით ბორჯომში ერთი შეკრების მოწყობა. მწვრთნელებმა ყველა ღონე ვიხმარეთ, რათა სპორტსმენებისთვის კარგი პირობები შეგვექმნა. თავად ვმზარეულობდით, ვყიდულობდით სანოვაგეს და სხვა. ავსტრალიას იმედით მივემგზავრებით, დანარჩენი კი სარბიელზე გამოჩნდება.

ილია ბაბუნაშვილი

კალათბურთი

# დისკვალიფიკაცია ხუთი თამაშით

ოთხშაბათს გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სხდომა. დღის წესრიგში ორი საკითხი იყო: კვირას „დინამოსა" და „თბილისის" მატჩზე მომხდარი ინციდენტის განხილვა და წლევანდელი ჩემპიონატის დებულებაში ცვლილების შეტანა ანუ პირველობის იმ ახალი სისტემის დამტკიცება, რომლის შესახებ „სარბიელის" წინა ნომერში გიამბეთ. თავდაპირველად სიტყვა მისცეს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს გიორგი ავალიშვილს, რომლის გადაწყვეტილებითაც ზემოაღნიშნული მატჩი პირველ ტაიმში დამთავრებულად გამოცხადდა. მან დამსწრეთ განუმარტა მიღებული გადაწყვეტილების მიზეზი, კერძოდ ის, რომ მან ტექნიკური ჯარიმა მისცა დინამოელ გელა დარსაძეს, რომელიც სათადარიგოთა სკამიდან არ დაეთანხმა მეორე მსაჯის, როლანდ გელოვანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ერთ-ერთ სათამაშო სიტუაციაში სადაო ბურთის დანიშვნასთან დაკავშირებით, რაც ზედმეტად ემოციურად გამოხატა. ავალიშვილის თქმით, წესების თანახმად, სკამზე მჯდომი მოთამაშის მიერ მიღებული ტექნიკური ჯარიმა ფაქტობრივად მწვრთნელის დასჯაა და ჩასვე უფრომდება. დარსაძე უხეშად შეეპასუხა მსაჯს, რისთვისაც იგი მოედნიდან გააძევეს. კალათბურთელი მოედნიდან არ გადიოდა. წესის თანახმად (როგორც გაირკვა ეს წესი ბევრმა არ იცოდა, ალბათ იმიტომ, რომ მსგავსი სიტუაციები იშვიათია) მსაჯმა ორი წუთი მოიცადა და თამაში დამთავრებულად გამოაცხადა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე გუნდს ეთვლება დამარცხება და ეწერება ნული ქულა და არა ერთი, როგორც ეს ჩვეულებრივი წაგების დროს ხდება. ავალიშვილმა თავისი მოქმედების სამართლიანობის დასტურად საერთაშორისო საკალათბურთო წესების წიგნი მოიხმო. „თორსის" მწვრთნელის გურამ მინაშვილის აზრით, რომელსაც დამსწრეთა ერთი ნაწილი დაეთანხმა, დარსაძის წამვლის შემდეგ თამაშის გაგრძელება უპრიანი იქნებოდა. „კაქტუსის" მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა თქვა, უდავოა, რომ მსაჯები წინასწარ განზრახვით გუნდებს არ ემხრობიან და თითოეული საეჭვო მომენტის გამო, ამხელა ამბის ატეხვა არ ივარგებსო. მოგვიანებით მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ მოთამაშის უდისციპლინობის შემთხვევაში უფრო მკაცრად დასაჯონ მწვრთნელები. ამ აზრს მხარი დაუჭირეს და აღნიშნეს, რომ კარგია, როდესაც ფედ[illegible] მწვრთნელი სთავაზობს ასეთ წინადადებას. ლევან მოსეშვილის თქმით, ამ ისტორიაში ყველაფერი ნათელია, მსაჯი მართალია, ოღონდ ორი წუთის შემდეგ თამაშის შეწყვეტის წესი დარსაძეს რომ სცოდნოდა, ალბათ სხვანაირად მოიქცეოდაო. მან აღნიშნა, რომ ინციდენტის შემდგომი დღის თამაშები არ უნდა გადაედოთ. ზოგადად საუბარი ემოციურად მიმდინარეობდა. გიორგი ავალიშვილმა კრება დასტოვა. „თბილისის" მწვრთნელმა ვალერი ჯგერენაიამ რამდენჯერმე დამსწრეთ საკითხის თანმიმდევრული განხილვისკენ მოუწოდა.

შესვენების შემდეგ დაადგინეს, რომ წესებიდან გამომდინარე მსაჯის ქმედება იყო სწორი. ამის შემდეგ „დინამოს" წარმომადგენლებმა წარადგინეს კლუბის კრების ოქმი, რომლის მიხედვითაც ისინი სცნობდნენ თავიანთი კალათბურთელის შეცდომას, თავად დასაჯეს იგი ერთი თვის ხელფასის ჩამორთმევით და სთხოვეს ფედერაციის პრეზიდუმს შეძლებისდაგვარად ნაკლებად, მაგალითად ორი თამაშის დისკვალიფიკაციით დაესაჯათ დარსაძე. დინამოელთა კრების ოქმი ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც წინასწარ ელოდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი და რასაც მან კომუნისტების დროინდელი ყაიდის ოქმი უწოდა. ამის შემდეგ საუბარი გადავიდა მსაჯთა, ოფიციალურ პირთა და სპორტსმენთა უსაფრთხოებაზე, დარბაზში პოლიციის რაზმის არყოფნაზე. ითქვა, რომ ჩემპიონატის განახლებამდე ეს საკითხები უნდა მოგვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონატის ბედი შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. აღნიშნეს, რომ არსებობს მინისტრთა კაბინეტის 27 აგვისტოს დადგენილება, რომლის თანახმადაც დაცვის გარეშე სპორტული შეჯიბრებების ჩატარება აკრძალულია. იქვე, სიტყვამ მოიტანა და დაამტკიცეს დღის წესრიგის მეორე საკითხი. ბოლოს კი პრეზიდიუმა გამოიტანა ვერდიქტი, რომლის თანახმადაც დებულების შესაბამისად, გელა დარსაძეს მისცეს დისკვალიფიკაცია ხუთი თამაშით, კლუბი კი დააჯარიმეს 300 ათასი კუპონით. იმის გათვალისწინებით, რომ გუნდში ჯერ ახალი კაცია, „დინამოს" უფროს მწვრთნელს ვაჟა ჭკუასელს გაფრთხილება აკმარეს.

განიხილეს „თორსის" მოთამაშის დავით თორთლაძის საკითხიც, რომელმაც „აზოტთან" მატჩის შემდეგ მსაჯს არაობიექტურობა დასწამა. თორთლაძე პირობითი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

რაც შეეხება გადადებულ მატჩებს, მათი გამართვის თარიღი ერთი კვირის შემდეგ დანიშნულ სხდომაზე გაირკვევა.

ილია ბაბუნაშვილი

წყალბურთი

# ჩემპიონთა თასის მიღმა

წყალბურთში საქართველოს ჩემპიონატი 22 ნოემბერს განახლდება. დასკვნით სტადიაში მონაწილეობას მიიღებს ოთხი გუნდი: „დინამო", ს.ტ.უ., თ.ს.უ. და „მართვე". „ბათუმი" და „რუსთავი" ძირითადად ფინანსური სიძნელეების გამო წლეულს ასპარეზობას აღარ გააგრძელებენ. ვინაიდან მთავარ აუზებში წყალი ისევ არ არის შეჯიბრება სანაპიროზე, მხტომელთა აუზში გაიმართება, რომელიც სტანდარტზე რამდენიმე მეტრით მოკლეა, მაგრამ აქ თამაშების ჩატარება წესის დარღვევა არ არის.

სამწუხაროდ, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ვერ გამოვა თბილისის „დინამო". მისმა სპონსორმა მატერიალურად ვერ უზრუნველყო გუნდის გამგზავრება. ევროპულმა ფედერაციამ კლუბი 15 ათასი შვეიცარული ფრანკით დააჯარიმა.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

# როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო...

წლევანდელი ზაფხული: ცისფრად მოლივლივე წყლის დგაფუნი. პალმები, კაქტუსები, საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი, უდარდელად მოსეირნე ავტომატიანი ახალგაზრდები.

არა, ეს წლევანდელი სოხუმის სურათები არ გეგონოთ, არც სხვა რომელიმე ეგზოტიკური ქვეყანა.

მაგრამ ამ სურათს კიდევ ორიოდე შტრიხი უნდა დავუმატოთ: ავტომატებით შეიარაღებული დაცვა... ისედაც მაღალი გალავანი მავთულხლართებით უფრო რომ გაზრდილა და მოიერიშეთა თავდასხმების მოსაგერიებლად ათასგვარი საპოხითაც ამოუგანგლავთ... აქ, როგორც იტყვიან, ჩიტიც ვერ გადმოფრინდება.

— ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ ამ ზაფხულს ჩიტი კი არა, ქალ-ვაჟებიც გადმოდიოდნენ. არადა, როცა გალავანი მავთულხლართებით ავამაღლე, მეუბნებოდნენ, რა არის, რა ამბავია, ციხე ხომ არ არისო, — გვიამბობს თბილისის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის „ვერეს" დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი. — მე კი ვფიქრობდი, მალე ისეთი დროება დადგებოდა, რომ ეს ყველაფერი საჭირო გახდებოდა. გახდა კიდეც. წინათ ცელქი მოზარდები თუ გადმოიპარებოდნენ ხოლმე საცურაოდ და ისიც, იშვიათად. ახლა კი, კაცებზე აღარას ვამბობ, ეს ახალგაზრდა, 18-22 წლის ქალები რაღამ გადარია? ეგ კიდევ არაფერი, ჩვენი კომპლექსის მ[illegible]ოებში, სულ რაღაც 50 მ-მდე რადიუსში სამი სასაუზმეა. რამდენიც კი გამოთვრებოდა, გასაგრილებლად ყველა აქეთ მოიწევდა, უმეტესად ავტომატიანები იყვნენ. რა თქმა უნდა, საფასურს არავინ იხდიდა. ერთნი გაიძახოდნენ, მხედრიონელები ვართო, მეორენი გვარდიელობას ჩემულობდნენ, სხვები — პოლიციელობას. მე შენ გეტყვი და, ალკოჰოლით გონებაამღვრეულებსა და ნარკოტიკებით თვალებმიბნედილებს რამეს გააგებინებდი. მათი არგუმენტი ავტომატი იყო. ჰოდა, ამ ავტომატების გამო ხშირად აყალმაყალი გვქონდა. გინდა თუ არა, მანამ გავგრილდებით, სადმე შეგვინახეთო. რა თქმა უნდა, უარს ვამბობდით, ჰოდა, ისინიც ცალ ხელში ავტომატით, მეორეში არყის ბოთლითა და პირში სიგარეტგაჩრილები აუზის მთელ ტერიტორიაზე დაბორიალობდნენ. ბევრი ჩვენი გამაჯანსაღებელი ჯგუფის სტაჟიანი წევრი დაგვიფრთხეს. ერთხელ, აქვე, აუზის ტერიტორიის მიღმა, სადაც ტანვარჯიშული სპორტსკოლაა, ავტომატების ისეთი სროლა ატყდა, თავი ფრონტის ხაზზე გვეგონებოდათ. იმ სპორტსკოლის შეშინებული ბავშვები საწოლების ქვეშ იმალებოდნენ. მდგომარეობა ოდნავ მაინც რომ ჩაგვეცხრო, აუზები ცოტა ხნით დავკეტეთ. მერე ქალაქში ხოლერის ეპიდემიის გავრცელების საფრთხეც ჩამოვარდა და „არდადეგებიც" გაგვიგრძელდა. ამან მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმუხტა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენი რაიონის პოლიციიდან და შინაგანი ჯარებიდან დაცვა დავიქირავეთ. არადა მათი გასამრჯელოს გადახდა ძალზე გვიჭირს. აი, ასეთი ცხელი ზაფხული გვქონდა.

— **ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ერთ დროს თქვენი კომპლექსი სანიმუშო წესრიგის კომპლექსად ითვლებოდა. საქალაქო დათვალიერებაზეც გაგიმარჯვნიათ, რესპუბლიკურზეც და საკავშიროზეც. თუმცა, ამ კომპლექსს მაშინაც ციხეს ადარებდნენ. ამბობდნენ, წესრიგის მხრივ ისეთი სიმკაცრეა, როგორც ციხეშიო.**

— ასე იყო. ამ ცხელ ზაფხულს ის ცივი ზაფხული ჯობდა.

— **თუ არ ვცდებით ეს ერთგვარი საიუბილეო ზაფხული იყო.**

— დიახ, კომპლექსს ახლახან 15 წელი შეუსრულდა. გახსოვთ, აქ როგორი სისხლსავსე ცხოვრება იყო. რომელი შეჯიბრებისთვის აღარ გვიმასპინძლია: საკავშირო ჩემპიონატები, თასები, საერთაშორისო ტურნირები წყალბურთში, წყალში ხტომაში, სინქრონულ ცურვაში, რამდენი სპორტის ვარსკვლავი ვიხილეთ, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები: ლუგანისიო, ბიონდიო, მშვენიერაძეო... წყალზე გამართული ათასგვარი ზეიმები და კონცერტებიც გავიხსენოთ. სავსე ტრიბუნებიც... ახლა კი აღარც გვეზეიმება და აღარც გვეკონცერტება. ეგ კი არა, საქართველოს ჩემპიონატებიც გვენატრება. თუ რამეს ვმასპინძლობთ, ქალაქის პირველობა უფრო ეთქმის, ვიდრე რესპუბლიკურისა.

— **როცა აქ შემოვდიოდით, ფოიეში დაფაზე ასეთი წარწერები დაგვხვდა — გადასახადები ელექტროენერგიაზე 6-ჯერ გაძვირდაო, ცივ წყალზე 8-ჯერ, თბოენერგიის გასწვრივ მრავალი კითხვით-ძახილის ნიშანი იყო. ეს ყველაფერი, ალბათ, თქვენი კომპლექსის იჯარით სარგებლობის თვითღირებულებას შესაბამისად აძვირებს.**

— რა თქმა უნდა! ის გაძვირება, თქვენ რომ ამოიკითხეთ, მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერს ეხება, თორემ მანამდეც ბევრჯერ გაძვირდა. ამიტომ აუზის იჯარით მომსახურებაც ძვირდება. თუმცა, ამ გადასახადის კვალობაზე ჩვენი მომსახურების გადასახადი რა მოსატანია. აუზით სარგებლობა რეალურთან შედარებით იაფია. მაგრამ ხალხის ჯიბეს ეს მაინც მძიმე ტვირთად აწვება. წინათ თუ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში 2 ათასამდე მუდმივი წევრი გვყავდა, ახლა მათი რაოდენობა 50 კაცს თუღა აღწევს. ჩვენ შეღავათს ვუწევთ ზოგიერთ ნაკრებ გუნდსაც, რომელსაც აუზის იჯარის ვთითლირებულების 40 პროცენტს ვახდევინებთ. ამას გარდა, ჩვენს აუზს უსასყიდლოდ ვუთმობთ იმ დაჭრილ მებრძოლებს, რომლებსაც ჯანმრთელობის აღსადგენად ცურვა აუცილებლად სჭირდებათ. ასევე უსასყიდლოდ ვემსახურებით იმ ბავშვებს, რომლებსაც აფხაზეთში მშობლები დაეღუპათ. მათ გარდა ჩვენს ხარჯზეა აფხაზეთიდან ლტოლვილი 30-მდე ბავშვი. ჩვენ კი შეღავათს არავინ გვიწევს. იქნებ ის ყბადაღებული თოთხმეტპროცენტიანი გადასახადი მაინც მოგვიხსნან. ვერავის ვერაფრით გავაგებინე, რომ ჩვენ პროდუქციას არ ვქმნით. ჩვენი „პროდუქცია" მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობაა.

— **კომპლექსი ზარალიანი ყოფილა, თავი როგორღა გაგაქვთ?**

— დიახ, აუზებით მომსახურეობა ჩვენთვის ზარალიანია, მაგრამ ამ ზარალს ვფარავთ აღდგენითი ცენტრით, საუნებით, ათლეტიზმში სავარჯიშო დარბაზებით. საერთოდ ეს ყველაფერი უკვე ფუფუნების საგანი გამხდარა. ინდივიდუალურ პირთაგან საუნით სარგებლობა, მისი საფასურის გადახდა ცოტას თუ შეუძლია. ამიტომ საუნის კლიენტები ძირითადად არიან ფირმები თუ კონცერნები, რომლებიც თავიანთი თანამშრომლების მასპინძლობისთვის ფულს გვირიცხავენ. სხვათაშორის, დიდი ხალისით, რადგან იციან, რომ მათ მიერ გადახდილი ფულით აუზებიდან მიღებულ ზარალს ვინაზღაურებთ, რაც საერთო ჯამში ჩვენი კომპლექსის სიცოცხლისუნარიანობას ემსახურება, ეს კი ფირმებს სიამოვნებას ანიჭებს. მათ იციან, რომ კომპლექსის გასაჭირის დაძლევაში თავიანთი წვლილი შეაქვთ.

— **ახლა თბილისში და მთელს საქართველოში „ვერეს" საწყლოსნო კომპლექსი ერთადერთია, სადაც ქვეყნის ნაკრებ გუნდებს ზამთარ-ზაფხულ ვარჯიში შეუძლიათ. როგორ აუდიხართ მათ მოთხოვნებს?**

# ანუ ჩიტთან ერთად «გადმოფრენილი» ქალები

— ჩვენთან ვარჯიშობენ მოცურავეთა, წყალბურთელთა, წყალში მხტომელთა, ხუთჭიდელთა და სინქრონული ცურვის ოსტატთა საქართველოს ნაკრები გუნდები. აგრეთვე სხვებიც. მათ შორის, სპორტსკოლათა წარმომადგენლებიც. რა თქმა უნდა, მათთვის, განსაკუთრებით წყალში მხტომელებისათვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა ზამთრობით ზამთრის საცურაო აუზში ვარჯიში, როგორც ეს აქამდე იყო, მაგრამ ვაკეში ზამთრის საცურაო აუზში წყალი ვეღარ თბება. სამწუხაროდ, ზამთრობით აუზებში თბილი წყლის შენარჩუნება ჩვენთანაც პრობლემაა. განსაკუთრებით 50 მ-იან აუზში. ამიტომ მის მუშაობაზე ახლა უარს ვამბობთ. ყოველივე ამის გამო, მოცურავეები ზოგჯერ ცურვის შემსწავლელ აუზში, ე.წ. „საჭყუმპალაოში" ვარჯიშობენ. წყალბურთელები — წყალში მხტომელთა აუზში, წყალში მხტომელები კი... სპორტდარბაზში. ერთი სიტყვით, ხომ გაგიგონიათ, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო. სპორტის საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენელთ უნდათ თუ არა, იძულებულნი არიან ჩვენთან გამოიზამთრონ.

— **ღმერთმა დაიფაროს და, თქვენს აუზებს რომ რამე დაემართოს...**

— ამის გაფიქრებაც კი მაშინებს. მართალია, აუზს ყოველ წელიწადს ვარემონტებთ, მაგრამ თხუთმეტი წელი მაინც თხუთმეტი წელია. ჟანგმა ბევრი რამ შეჭამა. ყველაფერი გამოსაცვლელია. გამოსავალს ისევ კომუნალური გადასახადების შემცირებაში ვხედავთ, მაშინ თავის რჩენა და კომპლექსის შენახვაც არ გაგვიჭირდება. ყველამ უნდა გაიგოს, რომ თუ ჩვენ აუზებს რამე დაემართათ, მაშინ არა მხოლოდ თბილისში, მთელს საქართველოში სპორტის საწყლოსნო სახეობები აღარ იარსებებენ.

ავთანდილ გურასაშვილი

ჩაროზი

# ჩრდილოამერიკული პროფესიული ლიგები




## კალათბურთი

ნიშანი რუკაზე — ⊗
ეროვნული ლიგა NBA
დაარსდა 1947

დასავლეთის გაერთიანება

წყნარი ოკეანის ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1 | გოლდენ სტეიტ ვორიორზ | ოქროსშტატელი მეომრები |
| 2 | ლოს-ანჯელეს კლიპერზ | სასხლავენი ან ჩქარი ხომალდები |
| 3 | ლოს-ანჯელეს ლეიკერზ | ტბელნი |
| 4 | პორტლენდ ტრეილ ბლეიზერს | მესვეურები |
| 5 | საკრამენტო კინგზ | მეფეები |
| 6 | სიეტლ სუპერსონიქს | ზებგერითნი |
| 7 | ფინიქს სანზ | მზეები |

შუა-დასავლეთის ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 8 | დალას მავერიქს | დამთხვეულნი |
| 9 | დენვერ ნაგითს | საბადოები |
| 10 | იუტა ჯაზ | ჯაზი |
| 11 | მინესოტა ტიმბერვულფს | რუხი მგლები |
| 12 | სან-ანტონიო სფერზ | დეზები |
| 13 | ჰიუსტონ როკითს | რაკეტები |

აღმოსავლეთის გაერთიანება

შიდა მხარის ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 14 | ატლანტა ჰოქს | ქორები |
| 15 | დეტროიტ პისტონზ | დგუშები |
| 16 | ინდიანა პეისერზ | მარდნი |
| 17 | კლივლენდ კავალიერს | მხედრები |
| 18 | მილუოკი ბაქს | ხარირმები |
| 19 | შარლოტ ჰორნეთს | კრაზანები |
| 20 | ჩიკაგო ბულზ | ხარები |

ატლანტიკის ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 21 | ბოსტონ სელტიკს | კელტები |
| 22 | ვაშინგტონ ბულითს | ტყვიები |
| 23 | მაიამი ჰით | პაპანაქება |
| 24 | ნიუ-იორკ ნიკერბოკერს | ნიუიორკელები |
| 25 | ნიუ-ჯერსი ნეთს | მახეები |
| 26 | ორლანდო მეჯიკ | ჯადო |
| 27 | ფილადელფია სევენთი-სიქსერს | 76 |

სეზონი: ნოემბერი — ივნისი
წრიული ტურნირი (82 თამაში, თანაჯგუფელებთან მეტი, დანარჩენებთან — ნაკლები), შემდეგ გაერთიანებების 8-8 გამარჯვებული გავარდნაზე თამაშობს (პირველ ეტაპზე 3 მოგებამდე, მერე — 4-მდე)
მთავარი ჯილდო: „მსოფლიო ჩემპიონატის“ ფინალი გაერთიანებების გამარჯვებულთა შორის (4 მოგებამდე)

## ჰოკეი

ნიშანი რუკაზე — ⊙
ეროვნული ლიგა NHL
დაარსდა 1917

აღმოსავლეთის გაერთიანება

ატლანტიკის ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვაშინგტონ კეპიტალზ | სვეტის თავნი |
| 2 | ნიუ-იორკ აილენდერზ | კუნძულელები |
| 3 | ნიუ-იორკ რეინჯერზ | ცხენოსანი ჩაფრები |
| 4 | ნიუ-ჯერსი დევილზ | ეშმაკები |
| 5 | ტამპა-ბეი ლაითნინგზ | გაელვებანი |
| 6 | ფილადელფია ფლაიერზ | მფრინავები |
| 7 | ფლორიდა პანთერზ | ფოცხვერები |

ჩრდილო-აღმოსავლეთის ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 8 | ბოსტონ ბრუინზ | დათვები |
| 9 | ბუფალო სეიბრზ | ხმლები |
| 10 | კვებეკ ნორდიქს | ჩრდილოეთელები |
| 11 | მონრეალ კანადიენზ | კანადელები |
| 12 | ოტავა სენატორზ | სენატორები |
| 13 | პიტსბურგ პენგვინზ | პინგვინები |
| 14 | ჰართფორდ ვეილერზ | მევეშაპეები |

დასავლეთის გაერთიანება

შიდა მხარის ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 15 | დალას სტარზ | ვარსკვლავები |
| 16 | დეტროიტ რედ ვინგზ | წითელი ფრთები |
| 17 | ვინიპეგ ჯეთს | რეაქტიულნი |
| 18 | სენტ-ლუის ბლუზ | ბლუზი |
| 19 | ტორონტო მეიფლ ლივზ | ნეკერჩხლის ფოთლები |
| 20 | ჩიკაგო ბლექჰოქს | ქორები |

წყნარი ოკეანის ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 21 | ანაჰეიმ მაითი დაქს | ძლევამოსილი კვატები |
| 22 | ედმონტონ ოილერზ | მენავთობეები |
| 23 | ვანკუვერ კენუქს | კანადურები |
| 24 | კალგარი ფლეიმზ | ცეცხლის ალნი |
| 25 | ლოს-ანჯელეს კინგზ | მეფეები |
| 26 | სან-ხოსე შარქს | ზვიგენები |

სეზონი: ოქტომბერი — მაისი
წრიული ტურნირი (84 თამაში, თანაჯგუფელებთან მეტი, დანარჩენებთან — ნაკლები), შემდეგ ჯგუფების 4-4 გამარჯვებული გავარდნაზე თამაშობს.
მთავარი ჯილდო: „სტენლის თასი“ გაერთიანებების გამარჯვებულთა შორის (4 მოგებამდე)

## კეტბურთი

ნიშანი რუკაზე — ⊘
ამერიკის ლიგა AL
დაარსდა 1901

აღმოსავლეთი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბალტიმორ ორიოლზ | ტოროლები |
| 2 | ბოსტონ რედ სოქს | წითელი წინდები |
| 3 | დეტროიტ თაიგერზ | ვეფხვები |
| 4 | კლივლენდ ინდიანზ | ინდიელები |
| 5 | მილუოკი ბრუერზ | ლუდის მხდელები |
| 6 | ნიუ-იორკ იანკიზ | იანკები |
| 7 | ტორონტო ბლუ ჯეიზ | მოლაღურები |

დასავლეთი

| | | |
|---|---|---|
| 8 | კალიფორნია ენჯელზ | ანგელოზები |
| 9 | კანზას როიალზ | მუქლურჯნი |
| 10 | მინესოტა თვინზ | ტყუპები |
| 11 | ოკლენდ ეთლეტიქს | ჯანსაღნი |
| 12 | სიეტლ მარინერზ | ზღვაოსნები |
| 13 | ტეხსას რეინჯერზ | ცხენოსანი ჩაფრები |
| 14 | ჩიკაგო ვაით სოქს | თეთრი წინდები |

ეროვნული ლიგა NL
დაარსდა 1876

აღმოსავლეთი

| | | |
|---|---|---|
| 15 | მონრეალ ექსპოზ | ნიმუშები |
| 16 | ნიუ-იორკ მეთს | პოლიციელები |
| 17 | პიტსბურგ პაირატს | მეკობრეები |
| 18 | სენტ-ლუის კარდინალზ | მუქწითელნი |
| 19 | ფილადელფია ფილიზ | ქველნი |
| 20 | ფლორიდა მალინზ | გველთევზები |
| 21 | ჩიკაგო ქაბზ | ლეკვები |

დასავლეთი

| | | |
|---|---|---|
| 22 | ატლანტა ბრეივზ | მამაცნი |
| 23 | კოლორადო როკიზ | კლდოვანნი |
| 24 | ლოს-ანჯელეს დოჯერზ | სხარტნი |
| 25 | სან-დიეგო პადრეზ | მღვდლები |
| 26 | სან-ფრანსისკო ჯაიანთს | გოლიათები |
| 27 | სინსინატი რედზ | წითლები |
| 28 | ჰიუსტონ ასტროუზ | ასტრონავტები |

სეზონი: მაისი — ოქტომბერი
დამოუკიდებელი ჩემპიონატები ლიგებში (162 თამაში, თანაჯგუფელებთან მეტი, სხვებთან — ნაკლები), ლიგების ჩემპიონატი ჯგუფებში გამარჯვებულთა შორის (ოთხ მოგებამდე)
მთავარი ჯილდო: მსოფლიო სერია (1903) ლიგის ჩემპიონებს შორის (4 მოგებამდე)

## ბურთაობა

ნიშანი რუკაზე — ⊖
ეროვნული ლიგა NFL
დაარსდა 1922

ამერიკის გაერთიანება

აღმოსავლეთი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბუფალო ბილზ | ნისკარტები ან კონცხი |
| 2 | ინდიანაპოლის კოულტს | ფაშატები |
| 3 | მაიამი დოლფინზ | დელფინები |
| 4 | ნიუ-ინგლენდ პეტრიოტს | პატრიოტები |
| 5 | ნიუ-იორკ ჯეთს | რეაქტიულნი |

შიდა მხარე

| | | |
|---|---|---|
| 6 | კლივლენდ ბრაუნზ | ყავისფერნი |
| 7 | პიტსბურგ სტილერზ | მეფოლადეები |
| 8 | სინსინატი ბენგოლზ | მაშხალები |
| 9 | ჰიუსტონ ოილერზ | მენავთობეები |

დასავლეთი

| | | |
|---|---|---|
| 10 | დენვერ ბრონკოუზ | ველური ცხენები |
| 11 | კანზას-სიტი ჩიფს | ბელადები |
| 12 | ლოს-ანჯელეს რეიდერზ | ყაჩაღები |
| 13 | სან-დიეგო ჩარჯერზ | ბედაურები |
| 14 | სიეტლ სიჰოქს | თოლიები |

ეროვნული გაერთიანება

აღმოსავლეთი

| | | |
|---|---|---|
| 15 | დალას კოვბოიზ | კოვბოები |
| 16 | ვაშინგტონ რედსქინზ | წითელკანიანები |
| 17 | ნიუ-იორკ ჯაიანთს | გოლიათები |
| 18 | ფილადელფია იგლზ | არწივები |
| 19 | ფინიქს კარდინალზ | მუქწითელნი |

შიდა მხარე

| | | |
|---|---|---|
| 20 | გრინ-ბეი პეკერზ | მფუთავები |
| 21 | დეტროიტ ლაიონზ | ლომები |
| 22 | მინესოტა ვაიკინგზ | ვარანგები |
| 23 | ტამპა-ბეი ბაკანიერზ | მეკობრეები |
| 24 | ჩიკაგო ბეარზ | დათვები |

დასავლეთი

| | | |
|---|---|---|
| 25 | ატლანტა ფოლკონზ | შევარდნები |
| 26 | ლოს-ანჯელეს რეიმზ | ყოჩები |
| 27 | ნიუ-ორლიანს სეინთს | წმინდანები |
| 28 | სან-ფრანსისკო ფორტინაინერზ | 49-ელები |

სეზონი: სექტემბერი — იანვარი
წრიული, წილხვედრილ მეტოქეებთან, ჯგუფებად დაყოფის მიუხედავად (16 თამაში), გაერთიანებების ფინალი ორ საუკეთესოს შორის (მე-17 თამაში)
მთავარი ჯილდო: „ზეთასის გათამაშება გაერთიანებების ჩემპიონებს შორის (ერთ მატჩში, იანვრის ბოლო კვირას)

## აქეთური, იქითური

„ჩიკაგო ბულზის“ ცნობილმა ვარსკვლავმა სკოტი პიპენმა ტრავმა მიიღო და როგორც ვარაუდობენ, ხუთ შეხვედრას გამოტოვებს. ეროვნული საკალათბურთო ლიგის (NBA) პირველობა ორი კვირაც არ არის რაც დაიწყო, ჩიკაგოს გუნდმა კი უკვე მესამე მოთამაშე მიაბარა ექიმებს. პირველი და მეორე ჯონ პაქსონი და სკოტ უილიამსი იყვნენ.

*

13 თებერვალს გაიმართება NBA-ს დიდი შოუ — „ოლ სტარზის“ თამაში. მასში მონაწილეობის 100 კანდიდატის სახელი უკვე გამოქვეყნდა. მათ რიცხვში არიან: ჯონ სტოქტონი, კარლ მელოუნი, ჩარლზ ბარკლი, „ახალწვეულები“ ტონი კუკოჩი, კრის ვებერი, შოუნ ბრედლი და სხვანი. თუ საბოლოოდ ვინ გამოვა მოედანზე, ამას მნიშვნელოვანწილად შელშემატკივართა გამოკითხვა განსაზღვრავს.

*

ჩემი გამოსვლა ტექნიკაზე ავაგე, რადგან ჩვენ პეგი ფლემინგის დროში აღარ ვცხოვრობთ, როდესაც მთავარი ემოციურობა იყო. ყოველი ნახტომის შემდეგ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მუცელში კლდე ჩამეშალაო — თქვა კანადელმა კარენ პრესტონმა, რომელიც ფიგურულ ციგურაობაში „სკეიტ კანადის“ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. სპეციალისტთა აზრით, იგი მეორე ადგილზე უნდა გასულიყო, მაგრამ მესამეზე გავიდა. პირველი იყო ჩინელი ლუ ჩენი, მეორე — რუსი ოლგა მაკაროვა.

*

ბუქარესტში, ხელბურთელ ქალთა შორის ადგილობრივი „რაპიდისა“ და კიევის „სპარტაკის“ მატჩის დროს ინფარქტით გარდაიცვალა სახელგანთქმული უკრაინელი მწვრთნელი იგორ ტურჩინი. შესვენების მიწურულს მან გასახდელში მწვავე ტკივილისგან გრძნობა დაკარგა და სამ წუთში გარდაიცვალა. ეს ტურჩინის მესამე ინფარქტი იყო, იგი გულში ჩადგმული სტიმულატორით ცხოვრობდა. მისმა მოთამაშეებმა მწვრთნელის გარდაცვალების შესახებ მეორე ტაიმის მე-12 წუთზე შეიტყვეს და თამაში შეწყვიტეს. თავდაპირველად რუმინელმა მაყურებელმა ვერ გაიგო, თუ რატომ შეწყდა თამაში და სტვენა დაიწყო, მაგრამ, როდესაც მომხდარის შესახებ გამოაცხადეს, მათ პატივი მიაგეს ტურჩინის ხსოვნას.

*

ძვირი კი დაჯდება, მაგრამ ავსტრალიელებმა მაინც გადაწყვიტეს, რომ კანბერადან ოლიმპიადა 2000-ის დედაქალაქ სიდნეიმდე ჩქაროსნული რკინიგზა გამართონ. მშენებლობა საოლიმპიადოდ დამთავრდება. 300 კილომეტრიან მანძილს მატარებლები 75 წუთში გაივლიან. ბილეთი ავიაბილეთთან შედარებით ორჯერ ძვირი ეღირება, თუმცა მგზავრობის დრო პრაქტიკულად იგივე იქნება.

*

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ (NHL) გასული კვირის საუკეთესო ჰოკეისტად დაასახელა 20 წლის რუსი ლეგიონერი ალექსეი იაშინი, რომელიც „ოტავა სენატორზში“ გამოდის. იგი გუნდის ბომბარდირია და კვირის ბოლოსთვის 19 ქულა ჰქონდა. აქედან 9 შაიბა თავად შეაგდო, 12-ჯერ კი საგოლე გადაცემა შეასრულა. მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ოთხშაბათს „ედმონტონ ოილერზთან“ მატჩში, როდესაც სამი გოლით და ორი საგოლე პასით საკუთარ დღეობაზე დაისაჩუქრა თავი. რუსებიდან საუკეთესო ბომბარდირი დეტროიტელი სერგეი ფიოდოროვია (24 ქულა, აქედან 11 გოლი), ხოლო ლიდერობს უეინ გრეცკი (ლოს-ანჯელესი) — 15 თამაშში 35 ქულა (9 გოლი და 26 პასი).

აქეთური, იქითური


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი,
IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)